

**ხელშეკრულება**  
**ფიზიკულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებებისა და სხვა მომსახურების**  
**ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ**  
**(შემდგომში „ხელშეკრულება“)**

ერთის მხრივ, შპს „ჯორჯიან ფიტნეს გრუპი“ (რეგისტრირებული მისამართი: ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, (ნაკვ. 1/73), სახლი N 15, ბინა N 1, საფოსტო კოდი 0615 ს/კ:405133403 რეგისტრირებული 26.01.2016 წ.-ს) (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი გაყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მარიანა ტოკვის სახით

და მეორეს მხრივ, \*\*\*\*\* პნ\*\*\*\*\* (შემდგომში „ხელშეკრულების მფლობელი“), რომელიც ხელს აწერს „დანართს“ ან „ხელშეკრულების“ თანმხლებ სხვა დოკუმენტს,

შემდგომში „ხელშეკრულებაში“ და „ხელშეკრულების“ საფუძველზე გაფორმებულ ნებისმიერ დოკუმენტში (დანართები, დამატებითი შეთანხმებები, ანკეტები და ა.შ.) „შემსრულებელი“ და „მომსახურების მიმღები“ ერთად მოიხსენიებიან როგორც „მხარეები“.

„მხარეები“ თანხმდებიან შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია იღებს „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, დამოუკიდებლად ან მესამე პირების დახმარებით, უზრუნველყოს „ხელშეკრულების“ „კლუბის წევრის პირადი მონაცემების“ შესახებ დანართში მითითებული ფიზიკური პირისთვის (შემდგომში „**მომსახურების მიმღები**“ ან „**კლუბის წევრი**“) ფიზიკულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებებისა და სხვა მომსახურების ორგანიზებისა და ჩატარების მომსახურების (შემდგომში „**მომსახურება**“) გაწევა. „მომსახურების“ სია და ღირებულება მოცემულია „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ დადებული „ხელშეკრულების“ დანართში. „ხელშეკრულების მფლობელი“ ვალდებულია იღებს უზრუნველყოს „ხელშეკრულების მფლობელის“ ან/და „კლუბის წევრის“, ან/და გადამხდელის მიერ „მომსახურების“, აგრეთვე „დამატებითი მომსახურების“, ღირებულების გადახდა. მომსახურება ხდება „ხელშეკრულების“, მისი დანართებისა ან/და დამატებითი შეთანხმებების პირობების, „შემსრულებლის“ მიერ დადგენილი „კლუბის წესების“, აგრეთვე ფიზიკულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სპორტული ღონისძიებების შესახებ დამტკიცებული (გამოცემული) დებულებების (რეგლამენტების) შესაბამისად. „კლუბის წევრია“ ფიზიკური პირი, რომელსაც სურს, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაკავდეს ფიზიკური აქტივობით (ან უკვე დაკავებულია) ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაუჯობების, დაავადებათა პროფილაქტიკისა და მაღალი სამუშაო უნარიანობის შენარჩუნების მიზნებისთვის, აგრეთვე პირი რომელსაც სურს სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სხვა სახის ღონისძიებების დასწრებისას, „კლუბის“ ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა აქტიურ დასასვენებელ და სარეკრეაციო აქტივობებში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე „დამატებითი მომსახურების“ მიღება.

1.2. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „ხელშეკრულებით“, მისი დანართებით ან/და დამატებითი შეთანხმებებით, „მომსახურების“ გაწევის ადგილს (შემდგომში „**კლუბი**“) წარმოადგენს „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ გაფორმებული „ხელშეკრულების“ დანართში ან/და დამატებით შეთანხმებაში მითითებულ მისამართზე არსებული უძრავი ქონება, რომელიც სპეციალურად დანიშნულია ფიზიკულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სხვა სახის მომსახურებისთვის და შესაბამისად მოიცავს ტექნიკურად აღჭურვილ მოედნებს ან/და ოთახებს.

1.3. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „ხელშეკრულებით“, მომსახურების გაწევის ვადა (შემდგომში „**მომსახურების გაწევის ვადა**“) თითოეული „კლუბის წევრისთვის“ განისაზღვრება და ასახულია „ხელშეკრულების“ დანართებში და ან დამატებით შეთანხმებებში. ზოგიერთი მომსახურებისთვის, რომელსაც მოიცავს „მომსახურების“ საფასური, „ხელშეკრულების“ დანართსა და დამატებით შეთანხმებაში შესაძლებელია დადგინდეს ამგვარი მომსახურების გაწევის განსხვავებული ვადები.

1.3.1. იმ შემთხვევაში, თუ „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ დადებული „ხელშეკრულების“ დანართით ან დამატებითი შეთანხმებით „მომსახურების“ გარკვეული პერიოდის განმავლობაში „მომსახურებით“ სარგებლობის კონკრეტული ოდენობა არის გათვალისწინებული (შემდგომში „**დასწრება**“), „ხელშეკრულების“ საფუძველზე „მომსახურებით“ სარგებლობის უფლება მას უწყდება ქვემოთ მითითებული გარემოებებიდან ყველაზე ადრე დამდგარი გარემოების თარიღიდან:

➤ კლუბის წევრმა ისარგებლა „მომსახურებით“ ან/და კლუბში „მომსახურების“ ან „დამატებითი მომსახურების“ მიღების მიზნებისთვის მივიდა იმდენჯერ, რამდენი ოდენობაც მითითებულია დასწრებად „ხელშეკრულების“ დანართში ან/და დამატებით შეთანხმებაში.

➤ ამოიწურა „მომსახურების“ გაწევის „ვადა“.

1.4. „კლუბის“ სამუშაო საათების, აგრეთვე, „კლუბის“ საშვის სახეობის მიხედვით, „მომსახურებით“ სარგებლობისთვის დადგენილი დროის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იქნება „შემსრულებლის“ მიერ „კლუბის“ მიმღებში, საინფორმაციო დაფებზე ან/და სხვა საინფორმაციო ადგილას, ან/და ვებგვერდზე: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge), ან/და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა საშუალებით ბარდება „ხელშეკრულების მფლობელს“/“კლუბის წევრს“.

1.5. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „ხელშეკრულებით“, მისი დანართებით ან/და დამატებითი შეთანხმებებით, „მომსახურების გაწევის პერიოდი“ თითოეული „კლუბის წევრის“ მიმართ, „ხელშეკრულების მფლობელის“ მიერ საკუთარი გადახდის ვალდებულების „ხელშეკრულებით“, მისი დანართით ან დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული წესით შესრულების წინაპირობით, **გამოითვლება ქვემოთ მითითებული გარემოებიდან ყველაზე ადრე დამდგარი გარემოების დადგომის თარიღიდან:**

- „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ დადებული „ხელშეკრულების“ დანართში ან/და დამატებითი შეთანხმებაში მითითებული თარიღი;
- „შემსრულებლის“ პროგრამაში ასახული „კლუბის წევრის“ მიერ „მომსახურებით“ ან დამატებითი მომსახურებით“ სარგებლობის დაწყების თარიღი;
- „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ „ხელშეკრულების“ დანართის გაფორმებიდან 61-ე დღე.

1.6. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების“ დანართის გაფორმებისას „კლუბს“ ჯერ არ დაუწყია მუშაობა და „მომსახურების“ გაწევა (გაყიდვის წინა პერიოდი), „კლუბის“ წევრისთვის „მომსახურების“ გაწევის „პერიოდის“ დასაწყისი აითვლება „კლუბის“ მიერ მუშაობის დაწყებიდან, „ხელშეკრულების მფლობელის“ მიერ საკუთარი გადახდის ვალდებულების „ხელშეკრულებით“, მისი დანართით ან დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული წესით შესრულების წინაპირობით. ასეთ შემთხვევაში „ხელშეკრულების“ დანართს უკეთდება შესაბამისი აღნიშვნა: „არ მუშაობს წინამდებარე დოკუმენტის გაფორმების მომენტისთვის“. იმ შემთხვევაში, თუ დანართში აღნიშნული მითითება გაკეთდება რამდენიმე „კლუბის“ მიმართ, „მომსახურების“ გაწევის „პერიოდად“ განისაზღვრება იმ კლუბის გახსნის დრო, რომელიც ყველაზე ადრე გაიხსნება.

1.7. „ხელშეკრულების“ შესაბამისად „მომსახურების“ პირველი „პერიოდის“ შესაბამისი საფასურის სრულად დაფარვის შემდგომ, ხოლო განვადებით გადახდისას, „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირველადი შენატანის განხორციელების შემდგომ, „კლუბის წევრზე“ დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში გაიცემა ინდივიდუალური კლუბის ბარათი (შემდგომში „კლუბის ბარათი“) ან/და იდენტიფიკაციის სხვა საშუალება, რომლის საშუალებითაც მოხდება „კლუბის წევრის“ იდენტიფიცირება „კლუბში“ შესვლისა და მომსახურების ან „დამატებითი მომსახურების“ მიღების მიზნებისთვის.

1.8. მხოლოდ „კლუბის ბარათის“ ან/და იდენტიფიკაციის სხვა საშუალების გაცემამდე არის „კლუბის წევრი უფლებამოსილი მიიღოს „მომსახურება“ „ხელშეკრულების“ დანართის საფუძველზე, სადაც „კლუბის წევრი“ დასახელებულია „მომსახურების მიმღებ“ პირად.

1.9. გაწეული „მომსახურების“/„დამატებითი მომსახურების“ ხარისხმა შესაძლებელია დაწიოს „ხელშეკრულების მფლობელის“ ან „კლუბის წევრის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების, „კლუბის წესების“ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით, თუ ასეთი პირობები/წესები მათ შეატყობინეს „შემსრულებლის“ თანამშრომლებმა ან ისინი ასახული იყო „კლუბში“ განთავსებულ საინფორმაციო, გამაფრთხილებელ ან ამკრძალავ წარწერებში, დაფებზე ან ვებგვერდზე: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge)

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

### 2.1. „შემსრულებლის“ ვალდებულებები:

2.1.1. „კლუბის“ სამუშაო საათებში „მომსახურების“ სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა.

2.1.2. „კლუბის წევრებისთვის“ „ხელშეკრულების“ შესაბამისი „მომსახურების“ გაწევის მიზნებისთვის „კლუბის“ შენობაში არსებული მოწყობილობებისა და ინვენტარის, დამხმარე მოწყობილობების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა. აგრეთვე, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და მოწყობილობების (სეზონის შესაბამისი ტანსაცმლის შესანახი გარდერობი, გასახდელი, საშხაპე, აბანოს კომპლექსი და სხვ.) სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, „კლუბში“ ასეთის არსებობისას.

2.1.3. „კლუბში“ და, მათ შორის, „კლუბის“ ფარგლებს გარეთ „შემსრულებლის“ მიერ ან/და მისი მონაწილეობით ან/და მისი ინიციატივით, „შემსრულებლის“ პირობების შესაბამისად, ფიზკულტურულ, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სხვა სახის ღონისძიებების, აგრეთვე „დამატებითი მომსახურების“ ორგანიზება და მათში „კლუბის წევრის“, მისი შეხედულებისამებრ, ჩართვა.

2.1.4. ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების „კლუბის“ ტერიტორიაზე ჩატარებისას, „კლუბის წევრის“ მიერ „კლუბის“ ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში, მისთვის გასახდელში უსაფრთხო სეიფით უზრუნველყოფილი ინდივიდუალური კარადის გამოყოფა ძვირფასი ნივთების (სამკაულები, გასაღებები, საათები, ტელეფონები, კომპიუტერები და სხვა მნიშვნელოვანი, დასამახსოვრებელი, ძვირფასი ან/და ძვირადღირებული ნივთები) შენახვის მიზნებისთვის.

2.1.5. სამედიცინო მომსახურების გაწევისას:

2.1.5.1. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა და ამგვარი მომსახურების, შესაბამისი სახის საქმიანობის ლიცენზიის შესაბამისად წარმოება, რომლის მონაცემებიც მითითებულია „ხელშეკრულების“ დანართში, დამატებით შეთანხმებაში ან მის საფუძველზე გაფორმებულ სხვა დოკუმენტში;

2.1.5.2. „კლუბის წევრზე“ სამედიცინო ბარათის გახსნა;

2.1.5.3. მის მკურნალობასთან დაკავშირებული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან/და „კლუბის წევრის“ ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებაზე თანხმობის შემთხვევაში.

### 2.2. „შემსრულებლის“ უფლებები:

2.2.1. „მომსახურების“ გაწევა „ხელშეკრულების“, მისი დანართების ან/და დამატებითი შეთანხმებების, აგრეთვე „შემსრულებლის“ მიერ დადგენილი კლუბის ან/და საბავშვო კლუბის დასწრების წესების (შემდგომში „კლუბის თარიღი, ხელმოწერა:

წესები“) (რომლებიც სავალდებულოა „კლუბის წევრისთვის“, „ხელშეკრულების მფლობელისთვის“, გადამხდელისთვის და მესამე პირებისთვის, რომლებიც იმყოფებიან შესაბამისი სასაქონლო ნიშნით მოქმედ „კლუბში“ და რომლებიც განთავსებულია „კლუბში“ საინფორმაციო დაფებზე ან/და ვებგვერდზე: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) ან/და გამოქვეყნებულია სხვა საშუალებით ან/და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა საშუალებ(ებ)ით, „შემსრულებლის“ შეხედულებისამებრ, ბარდება „ხელშეკრულების მფლობელს“, „კლუბის წევრს“ ან გადამხდელს) შესაბამისად.

2.2.2. ცალმხრივად დაადგინოს იმგვარი მომსახურების სია და შესაბამისი საფასური, რომელსაც არ მოიცავს „მომსახურების“ საფასური (შემდგომში „დამატებითი მომსახურება“). „შემსრულებლის“, „მესამე პირების“ მიერ „დამატებითი მომსახურების“ გაწევა შესაძლებელია „კლუბის წევრებისთვის“, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ფიზიკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების ფარგლებში.

2.2.3. „განრიგის“, „კლუბის წესების“, „კლუბის“ ან მისი ცალკეული ნაწილების/შენიშვნების სამუშაო საათების და „მომსახურებით“ სარგებლობის საათების (საშვის მიხედვით) ცალმხრივად დადგენა ან/და მათში ცვლილებების შეტანა, აგრეთვე დასაქმებულის/შემსრულებლის „განრიგში“ ცვლილების განხორციელება. „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“ და გადამხდელი პასუხისმგებელი არიან თავად ადევნონ თვალი ამგვარ ცვლილებებს.

2.2.4. უარი თქვას „მომსახურების“ ან „დამატებითი მომსახურების“ გაწევაზე იმ შემთხვევაში, თუ „კლუბის წევს“ არა ექნება „კლუბის ბარათი“ ან/და „ხელშეკრულების“ ფარგლებში „შემსრულებლის“ მიერ გაცემული იდენტიფიკაციის სხვა საშუალება.

2.2.5. მესამე პირების დაინტერესება „მომსახურების“ ან „დამატებითი მომსახურების“ გაწევაზე.

2.2.6. „ხელშეკრულების მფლობელთან“, „კლუბის წევრთან“ ან გადამხდელთან ნებისმიერი დამატებითი შეთანხმების გარეშე, „ხელშეკრულების“ ყველა პირობის დაცვის მიზნებისთვის, საკუთარი უფლება-მოვალეობების მესამე პირებზე გადაცემა.

2.2.7. ცალმხრივად, დროზე ადრე, მიზეზის დასახელების გარეშე, „ხელშეკრულების“, „კლუბის წევრისთვის“ „მომსახურების“ გაწევის ნაწილში, შეწყვეტა.

„ხელშეკრულების მფლობელის“ ან „კლუბის წევრის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების, „კლუბის წესების“ (რომელიც მას „შემსრულებლის“ თანამშრომელმა მიაწოდა ან /და ასახული იყო „კლუბში“ განთავსებულ საინფორმაციო, გამაფრთხილებელ ან ამკრძალავ წარწერებში, დაფებზე ან ვებგვერდზე: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge)) დარღვევისას ან/და არაჯეროვანი შესრულებისას, „შემსრულებელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად, სასამართლოს გარეშე, უარი განაცხადოს „ხელშეკრულების“ შესრულებაზე (შეწყვიტოს „ხელშეკრულება“) შესაბამისი „კლუბის წევრის“ მიმართ და მოითხოვოს ზარალის სრული ანაზღაურება ან/და განაცხადოს უარი „ხელშეკრულების მფლობელის“ „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ „ხელშეკრულების“ დადებაზე.

„შემსრულებელი“ ვალდებულია „ხელშეკრულების“, „კლუბის წევრისთვის“ „მომსახურების“ გაწევის ნაწილში, დროზე ადრე შეწყვეტის შესახებ შეტყობინება გადასცეს/გაუგზავნოს „ხელშეკრულების მფლობელს“/„კლუბის წევრს“ ხელშეკრულების შეწყვეტამდე 1 დღით ადრე. „ხელშეკრულება“, „კლუბის წევრისთვის“ „მომსახურების“ გაწევის ნაწილში, შეწყვეტილად ჩაითვლება „შემსრულებლის“ მიერ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან, „მხარეების“ მიერ „ხელშეკრულების“ ამ ნაწილში შეწყვეტის თაობაზე დამატებითი შეთანხმების გაფორმების გარეშე.

2.2.8. „შემსრულებლის“ ბრალის გარეშე ან/და დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოშობილი ავარიული ვითარებისას, ცალმხრივად შეზღუდოს „მომსახურების“ ან „დამატებითი მომსახურების“ გაწევის მოცულობა და თანმიმდევრობა, „ხელშეკრულების მფლობელისთვის“, „კლუბის წევრებისთვის“ ან გადამხდელისთვის ყველანაირი კომპენსაციის ანაზღაურების გარეშე.

2.2.10. ცალმხრივად შეაჩეროს „მომსახურების“ გაწევის „პერიოდი“, არ გასწიოს „დამატებითი მომსახურება“, უარი განაცხადოს „კლუბის“ ტერიტორიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაშვებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც „შემსრულებელი“ ფლობს ინფორმაციას, რომ „კლუბის წევრი“ უშუალოდ ან ირიბად შესაძლებელია დაკავშირებული იყოს შემდეგ საქმიანობასთან, მაგრამ არა მხოლოდ: „კლუბის“ ტერიტორიაზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე იმგვარი ქმედება ან უმოქმედობა, რამაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს „შემსრულებლის“, „კლუბის წევრის“ ან/და მესამე პირების კანონიერი უფლებების დარღვევა ან/და ინტერესების შელახვა. „მომსახურებით“ ან/და „დამატებითი მომსახურებით“ სარგებლობის უფლება ავტომატურად განახლებს „შემსრულებლის“ მიერ იმ მტკიცებულების მიღებით დღიდან, რომლითაც დადასტურდება, რომ „კლუბის წევრი“ არ ყოფილა ზემოთ აღნიშნულ ქმედებასთან/უმოქმედობასთან დაკავშირებული ან განახლებს იმ შემთხვევაში, თუ მის ხელთ არსებული ინფორმაცია არ მტკიცდება სათანადო მტკიცებულებებით.

2.2.11. „შემსრულებლის“ „ქონების“ შესანარჩუნებლად, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და „შემსრულებლის“ ტერიტორიაზე ფიზიკური პირების კანონიერად შემოსვლის კონტროლის მიზნებისთვის ღიად განათავსოს „შემსრულებლის“ ტერიტორიაზე ფოტო ან/და ვიდეო გადაღების ტექნიკური საშუალებები. აღნიშნული უფლებით სარგებლობა არ ისახავს მიზნად კონკრეტულ პირზე ინფორმაციის შეგროვებას. დასაშვებია აღნიშნული საშუალებით უკანონო ქმედების აღმოჩენისას ფოტო/ვიდეო მასალებში ასახული ინფორმაციის ამგვარი უკანონო ქმედებების მტკიცებულებად გამოყენება.

2.2.12. უსაფრთხოების მიზნებისთვის, „მომსახურების“ ან „დამატებითი მომსახურების“ ხარისხის კონტროლისა და გაუმჯობესებისთვის ღიად მოიპოვოს და გამოიყენოს „შემსრულებლის“ მიერ გაცემულ სატელეფონო ნომრებზე წარმოებული საუბრები. აღნიშნული უფლებით სარგებლობა არ ისახავს მიზნად კონკრეტულ პირზე ინფორმაციის შეგროვებას. დასაშვებია აღნიშნული საშუალებით უკანონო ქმედების აღმოჩენისას ფოტო/ვიდეო მასალებში ასახული ინფორმაციის ამგვარი უკანონო ქმედებების მტკიცებულებად გამოყენება.

თარიღი, ხელმოწერა:



2.2.13. ისარგებლოს „ხელშეკრულებით“, მისი დანართებითა და დამატებითი შეთანხმებებით, აგრეთვე „კლუბის წესებით“ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით ან/და შესაძლებლობებით.

### **2.3. „ხელშეკრულების მფლობელის“/“კლუბის წევრის“ ვალდებულებები:**

2.3.1. „შემსრულებლის“ მიერ „მომსახურების“ ან/და „დამატებითი მომსახურების“ სათანადო წესით შესრულების უზრუნველსაყოფად, დაფაროს „მომსახურების“ ან/და „დამატებითი მომსახურების“ საფასური „ხელშეკრულების“, მისი დანართებისა და დამატებითი შეთანხმებების აგრეთვე „კლუბის წესების“ შესაბამისად. „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრი“ აგრეთვე ვალდებულია დაიცვას „კლუბის წესები“, „ხელშეკრულებით“, მისი დანართებით ან დამატებითი შეთანხმებებით გათვალისწინებული პირობები. „მომსახურების“, ან/და „დამატებითი მომსახურების“ გაწევისას, ან/და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების „კლუბის“ ფარგლებს გარეთ ჩატარებისას ვალდებულია დაიცვას ამგვარი ღონისძიებების ჩატარების ადგილას განთავსებული ამგვარი მომსახურებით სარგებლობის ან/და შესაბამის ადგილას ყოფნის წესები, მათ შორის, რეკომენდაციები და აკრძალვები და ა.შ.

2.3.2. „კლუბის“ ბარათების, იდენტიფიცირების საშუალებების, გასაღებების ან კარადების ან/და სეიფების ჩასაკეტი სხვა საშუალებების სათანადოდ მოფრთხილება. დაუშვებელია მათი მესამე პირთათვის გადაცემა.

2.3.3. დროულად, წერილობით შეატყობინოს „შემსრულებელს“ საკუთარი დაავადებების (მათ შორის დაფარული დაავადებების) შესახებ ან იმ სამედიცინო უკუჩვენებების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია გამოიწვიოს გაწეულმა „მომსახურებამ“/„დამატებითმა მომსახურებამ“, აგრეთვე შეატყობინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილების (მათ შორის ფეხმძიმობის), გართულების, გვერდითი მოვლენების და ა.შ. შესახებ „კლუბის“ მიერ მისთვის „მომსახურების“ ან/და „დამატებითი მომსახურების“ გაწევის პროცესში ან მის შემდგომ.

2.3.4. „კლუბში“ ყოფნისას „შემსრულებლის“ მიერ განზრახ მოწყობილ სეიფში შეინახოს ძვირფასი ან არა-ძვირფასი ნივთები (სამკაულები, ძვირფასეულობები, გასაღებები, საათები, ტელეფონები, კომპიუტერები და სხვა მნიშვნელოვანი, დასამახსოვრებელი, ძვირფასი ან/და ძვირადღირებული ნივთები, ფული, ფულადი ნიშნები, მნიშვნელოვანი დოკუმენტები), ხოლო გარდერობში შეინახოს გარეთ ჩასაცმელი ტანსაცმელი და თავსაბურავი. „კლუბის“ დატოვებისას „კლუბის წევრი“ ვალდებულია გაათავისუფლოს სეიფი და გარდერობი შენახული ნივთებისგან.

2.3.5. გაეცნოს და გააცნოს „კლუბის“ წევრს ან გადამხდელს „ხელშეკრულების“, მისი დანართების ან/და დამატებითი შეთანხმებების პირობები და „კლუბის წესები“, აგრეთვე „მომსახურების“ ან/და „დამატებითი მომსახურების“ გაწევასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც „შემსრულებელი“ აცხადებს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული წესით, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ: ინფორმაცია „კლუბის“ მიერ სამუშაოს დაწყების (გახსნის) თარიღი. „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრი“ აგრეთვე ვალდებულია თავად ადევნოს თვალი და გაეცნოს ამგვარ ცვლილებებს.

2.3.6. „კლუბში“ შესასვლელად, „მომსახურების“/„დამატებითი მომსახურების“ მისაღებად, მათ შორის, საიდენტიფიკაციო საშუალების დასამზადებლად, წარუდგინოს „შემსრულებელს“ შემდეგი სახის პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი და მამის სახელი, მისამართი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები, ბიომეტრიული მონაცემები (ფოტო); „კლუბში“ იდენტიფიკაციის მრავალსაფეხურიანი სისტემისას - პაპილარული სურათების ნიმუში, რომელთა სკანირებაც ხდება სპეციალური მოწყობილობით სურათის ციფრული ფორმით ასახვის მიზნით, რომლის უკუ-ასახვაც ვერცერთ სხვა მოწყობილობაზე ვერ მოხდება.

2.4. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „კლუბის წევრთან“ დადებული „ხელშეკრულების“ დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით, „კლუბის წევრი“, საკუთარი სურვილით, უფლებამოსილია, „კლუბის წესებისა“ და „საშვის“ სახეობის გათვალისწინებით, ისარგებლოს „მომსახურებით“, მონაწილეობა მიიღოს, მათ შორის, „შემსრულებლის“ მიერ, მისი ინიციატივით, ან მისი მონაწილეობით „კლუბის“ ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ ფიზკულტურულ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ან სხვა სახის ღონისძიებებში.

2.5. „კლუბის წევრი“ უფლებამოსილია „მომსახურებისთვის“ დროებით ხელშემშლელი გარემოებების წარმოქმნისას, ისარგებლოს დამატებითი ალტერნატივით - შეაჩეროს მომსახურების გაწევის „პერიოდი“ („კლუბის“ ბარათის მოქმედების ვადა) (შემდგომში „გაყინვა“).

2.5.1. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „ხელშეკრულების“ დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით, „მომსახურების“ გაწევის „პერიოდში“ თითოეული „კლუბის ბარათის“ შესაბამისი „გაყინვის“ მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას ადგენს „შემსრულებელი“. აღნიშნული ვადები აისახება „ხელშეკრულების“ დანართებში ან/და დამატებებით შეთანხმებებში. მათი გაზრდა დაუშვებელია ნებისმიერი საფუძვლით, მათ შორის ავადმყოფობის, შვებულების, სამსახურებრივი მივლინების და სხვა მსგავსი გარემოებების საფუძვლით.

2.5.2. „კლუბის წევრის“ ფეხმძიმობა წარმოადგენს ერთადერთ გამონაკლისს, როდესაც, „შემსრულებლის“ შეხედულებისამებრ, შესაძლებელია დაიშვას „კლუბის წევრისთვის“ „გაყინვის“ საერთო ვადის გაზრდა. ამ შემთხვევაში, „გაყინვის“ დამატებითი ვადის მაქსიმალური ოდენობაა 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე. „გაყინვის“ ვადის გაზრდის მოთხოვნა დასაშვებია „გაყინვის“ ზოგადი ვადის ამოწურვის შემდგომ, „კლუბის წევრის“ განცხადების“ საფუძველზე. განცხადებას თან დაერთვის ფეხმძიმობის დამადასტურებელი დოკუმენტი. განცხადებაზე „შემსრულებელი“ გადაწყვეტილებას იღებს სრული დისკრეციის საფუძველზე. ვადის გაზრდის თაობაზე არ იდება დამატებითი შეთანხმება. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში „შემსრულებელი“ არ არის ვალდებული მიუთითოს შესაბამისი დასაბუთება.

2.5.3. „გაყინვის“ ვადა, რომელიც „კლუბის წევრმა“ არ გამოიყენა შესაბამის პერიოდში, არ ანაზღაურდება შესაბამისი კომპენსაციით და მისი შემდგომ პერიოდში გადატანა დაუშვებელია.

2.5.4. „გაყინვის“ ვადის გამოყენებისა და გაფორმების წესები დადგენილია „კლუბის წესებით“.

თარიღი, ხელმოწერა:

2.6. დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს „შემსრულებელს“ პირადი მონაცემების ნებისმიერი ცვლილების შესახებ ან ისეთი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, „კლუბის ბარათის“ ან სხვა იდენტიფიკაციის სხვა საშუალების, გასაღებების, ან „შემსრულებლის“ დროებით მფლობელობაში/სარგებლობაში გადაცემული საგნის დაკარგვა ან დაზიანება.

2.7. „ხელშეკრულების მფლობელს“ ან/და „კლუბის წევრს“ ეკრძალება, „შემსრულებლის“ წერილობითი თანხმობის გარეშე, „კლუბში“ ან „შემსრულებლის“ სხვა ტერიტორიაზე დაკავდეს სამეწარმეო ან სხვა საქმიანობით, რომელიც არ არის დაკავშირებული „მომსახურებასთან“/„დამატებით მომსახურებასთან“.

2.8. „ხელშეკრულების მფლობელი“ ან/და „კლუბის წევრი“, რომელსაც შეუსრულდება 18 წელი, უფლებამოსილია „ხელშეკრულების“ დანართის საფუძველზე დარეგისტრირდეს და შემდეგ ვებგვერდზე [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) ან/და მობილურის აპლიკაციის „World Class/World Class Fitness“ მეშვეობით მიიღოს წვდომა „პირადი კაბინეტის“ ელექტრონულ სერვისთან (შემდგომში „პირადი კაბინეტი“).

2.8.1. „პირადი კაბინეტის“ მიზნებისთვის რეგისტრაციისას, „ხელშეკრულების მფლობელს“/„კლუბის წევრს“ წარედგინება შემოწმებისა და სერვისზე შესვლის სპეციალური საშუალებები, რომლებიც საიდუმლოდ უნდა იქნას შენახული, მათი მესამე პირებისთვის გადაცემა დაუშვებელია. „პირად კაბინეტში“ შესვლის და მისი სარგებლობის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) და მისი დაცვა სავალდებულოა „პირადი კაბინეტის“ მომხმარებლისთვის.

2.8.2. „შემსრულებელი“ „პირადი კაბინეტის“ ფარგლებში განათავსებს შემდეგი სახის ინფორმაციას და მომხმარებელი შეძლებს შემდეგი სახის ქმედებების, მაგრამ არა მხოლოდ, განხორციელებას „პირადი კაბინეტის“ მეშვეობით:

- „პირადი კაბინეტის“ მომხმარებლის პერსონალური მონაცემები;
- „მომსახურების“ გაწევის ადგილის, მომსახურების „პერიოდის“, „მომსახურების“ სახეებისა და საფასურის და სხვ. შესახებ ინფორმაცია;
- „გაყინვის“, მომსახურების გაწევის „პერიოდის“ ნაადრევად შეწყვეტის (კლუბის ბარათზე უარის), „მომსახურების“/„დამატებითი მომსახურების“ შესაბამისი დავალიანების ჩამოწერის, „ხელშეკრულების“ დანართებისა და დამატებითი შეთანხმებების ან პერსონალური მონაცემების ცვლილების და ა.შ. დადება და მათ თაობაზე განცხადებების წარდგენა;
- „ხელშეკრულების“ ან/და „ხელშეკრულების მფლობელის“ ან/და „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების, მისი დანართებისა და დამატებითი შეთანხმებების ტექსტი;
- „დამატებით მომსახურებაზე“ ან/და ღონისძიებებზე ჩაწერა ან განხორციელებული ჩაწერის გაუქმება;
- ინფორმაცია გაწეული „დამატებითი მომსახურების“, აგრეთვე შესაბამისი დავალიანების შესახებ;
- ბალანსის შევსება ან/და „მომსახურების“/„დამატებითი მომსახურების“ საფასურის გადახდა;
- „შემსრულებლის“ მიერ „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ მიმართ განხორციელებული საინფორმაციო შეტყობინება;
- „შემსრულებლის“, მისი საქმიანობის ან მის მიერ ჩასატარებელი აქციებისა და ღონისძიებების, აგრეთვე მისი პარტნიორების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის/რეკლამის განთავსება;
- სხვა შესაძლებლობები.

2.8.3. „ხელშეკრულების მფლობელი“, „კლუბის წევრი“ და „შემსრულებელი“ თანხმდებიან, რომ „კლუბის წევრის“ სახელით „პირად კაბინეტში“ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ჩაითვლება „კლუბის წევრის“ მიერ განხორციელებულად.

2.9. „შემსრულებელი“ და მესამე პირები „კლუბის წევრებს“ სთავაზობენ შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე „კლუბში“ „დამატებითი მომსახურებით“ სარგებლობას, ხოლო პირებს, რომლებიც არ არიან „კლუბის წევრები“ სთავაზობენ ზოგიერთ „დამატებით მომსახურებას“ (მაგ. სადალაქო, კოსმეტიკური მომსახურება და სხვ.) (ოფერტი)

2.9.1. „დამატებითი მომსახურების“ ჩამონათვალსა და საფასურს „შემსრულებელი“ ადგენს ფასების ჩამონათვალში, რომელიც განთავსდება „კლუბებში“ ან/და „პირად კაბინეტში“.

2.9.2. „დამატებითი მომსახურების“ მისაღებად აუცილებელია შერჩეულ „დამატებით მომსახურებაზე“ ჩაწერა ერთერთი შემდეგი წესის შესაბამისად:

- ✓ „პირადი კაბინეტის“ მეშვეობით;
- ✓ ნებისმიერი საშუალებით (ზეპირად/წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და სხვა საშუალებით) „დამატებით მომსახურებაზე“ ჩაწერის თხოვნის წარდგენა „კლუბის“ თანამშრომლისთვის ან/და ნებისმიერი სხვა პირისთვის, რომელიც „შემსრულებლის“ დავალებით/მასთან დადებული შეთანხმების საფუძველზე აწარმოებს „დამატებით მომსახურებაზე“ ჩაწერას ან/და თავად გასწევს „დამატებით მომსახურებას“ (აქცეპტი).

2.9.3. „დამატებით მომსახურებაზე“ აქცეპტი „შემსრულებლის“ მიერ მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებლის“ კლუბის პროგრამაში „დამატებით მომსახურებაზე“ ჩაწერა განხორციელებულია ერთერთი შემდეგი საშუალებით:

- ✓ „პირადი კაბინეტის“ მეშვეობით;
- ✓ შეყვანილია უშუალოდ „შემსრულებლის“ კლუბის პროგრამაში;
- ✓ შეყვანილია „დამატებითი მომსახურების“ განმხორციელებელი პირების მიერ უშუალოდ „შემსრულებლის“ მობილური აპლიკაციის («World Class» ან/და სხვ.) მეშვეობით.

2.9.4. „დამატებითი მომსახურებაზე“ ჩაწერა, რომელიც შეყვანილია „შემსრულებლის“ კლუბის პროგრამაში, ავტომატურად აისახება „პირად კაბინეტში“.

2.9.5. „დამატებითი მომსახურების“ შესაბამისი აქცეპტი „შემსრულებლის მიერ“ მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც „შემსრულებლის“ „დასაქმებელი“ ან/და ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს „შემსრულებლის“ დავალების ან/და მასთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, დაიწყებს „დამატებითი მომსახურების“ გაწევას.

2.9.6. აქცეპტის უკან გამოთხოვა შესაძლებელია არაუგვიანეს „დამატებითი მომსახურების“ დაწყებამდე 8 საათით ადრე „ხელშეკრულების“ 2.9.2 პუნქტში მითითებული ერთერთი საშუალებით.

2.9.7. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „ხელშეკრულებით“ ან/და მხარეების შეთანხმებით, „დამატებითი მომსახურება“, რომლის შესაბამისი აქცეპტის გამოთხოვა არ მომხდარა „ხელშეკრულებით“ დადგენილ ვადებში, მიღებულად ჩაითვლება, „ხელშეკრულების“ ვადებისა და წესების შესაბამისად და კლუბის პროგრამაში ჩაწერისთვის დადგენილ ვადებისა და პირობების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი ფაქტობრივად გაწევა და შესაბამისად ამ შემთხვევაში საფასური უნდა ანაზღაურდეს სრულად.

### 3. ანაზღაურების წესი

3.1. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „ხელშეკრულებით“, მისი დანართებით ან დამატებითი შეთანხმებებით, „მომსახურების“ საფასურს იხდის „ხელშეკრულების მფლობელი“, „კლუბის წევრი“ ან „გადამხდელი“, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის „პერიოდის“ დაწყების დღეს საფასურის 100%-ის წინასწარ გადახდით.

3.2. „ხელშეკრულების“ შესაბამისი ყველა გადახდა ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

3.3. „დამატებითი მომსახურების“ საფასურს „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“/„გადამხდელი“ იხდის 100% წინასწარი გადახდით.

3.4. „მომსახურების“/„დამატებითი მომსახურების“ საფასური „ხელშეკრულების მფლობელს“/„კლუბის წევრს“/„გადამხდელს“ შეაქვს სალაროში ან/და „შემსრულებლის“ ანგარიშზე, ან/და „პირად კაბინეტში“ ბალანსის შევსების ან საფასურის დაფარვის გზით. გადახდა შესაძლებელია სხვა საშუალებითაც, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

3.5. „დამატებითი მომსახურების“ გაწევისას მისი ღირებულება გამოიქვითება შეტანილი ბალანსიდან, რაზეც გაიცემა შესაბამისი ქვითარი, ხოლო გადახდის „პირადი კაბინეტით“ განხორციელებისას - „შემსრულებლისთვის“ საფასურის გადახდის შესახებ ელექტრონული დასტური.

3.6. „დამატებითი მომსახურებისთვის“ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, „შემსრულებელი“ უფლებამოსილია შეუზღუდოს „კლუბის წევრს“ „მომსახურების“/„დამატებითი მომსახურების“ მიღების უფლება არსებული დავალიანების დაფარვამდე. ამავე დროს, „მომსახურების“ „პერიოდი“ უცვლელი რჩება. იმ შემთხვევაში, როდესაც „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“ გადაუხდელი „დამატებითი მომსახურების“ გაწევიდან 1 (ერთი) დღის განმავლობაში უარს აცხადებს ან არ ფარავს „შემსრულებლის“ მიმართ წარმოშობილ დავალიანებას, შემსრულებელი უფლებამოსილია „დავალიანება“ გამოქვითოს „კლუბის წევრისთვის“ „მომსახურების“ „პერიოდის“ შემცირების ხარჯზე. „პერიოდის“ ამგვარი წესით შემცირების თაობაზე დამატებითი შეთანხმება არ იდება და „შემსრულებელი“ „კლუბის წევრს“ უგზავნის შეტყობინებას „ხელშეკრულების“ შესაბამისად.

3.7. „შემსრულებლის“ მიერ დადგენილ შეთხვევებში, „მომსახურებისთვის“/„დამატებითი მომსახურებისთვის“ საფასურის გადახდა შესაძლებელია „შემსრულებლის“/„შემსრულებლის“ წარმომადგენლის მიმართ ფიზკულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების და სხვა მომსახურების ორგანიზებისთვის და ჩატარებისთვის ავანსის სახით გადახდილი თანხის ხარჯზე, რაც მტკიცდება შესაბამისი ფულის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით და შესაბამისი კატეგორიის ბარათით/სერტიფიკატით. ბარათების/სერტიფიკატების სარგებლობის წესი და პირობები რეგულირდება „შემსრულებლის“ მიერ ბარათების/სერტიფიკატების წარდგენის მეშვეობით „მომსახურებით“ სარგებლობის შესახებ დადგენილი წესით, რომელიც განთავსებულია „მომსახურების“/„დამატებითი მომსახურების“ გაწევის ადგილას ან ვებგვერდზე: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge).

### 4. „მომსახურების“ საფასურის განვადებით დაფარვის სპეციალური წესი

4.1. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების“ დანართი ან/და დამატებითი შეთანხმება ითვალისწინებს „მომსახურების“ საფასურის განვადებით დაფარვას და „ხელშეკრულების“ პირობები და წინამდებარე სპეციალური წესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, „მხარეები“, „კლუბის წევრი“ და გადამხდელი ხელმძღვანელობენ წინამდებარე სპეციალური წესებით.

4.2. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „ხელშეკრულების“ წინამდებარე სპეციალური წესებით, „ხელშეკრულების“ დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით, თითოეული „კლუბის წევრის“ მიმართ მომსახურების გაწევის „პერიოდი“, „ხელშეკრულების მფლობელის“ მიერ „მომსახურებისთვის“ პირველადი გადახდის ხელშეკრულებით, დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული წესით დაფარვის პირობით, აითვლება **ქვემოთ მითითებული გარემოებიდან ყველაზე ადრე დამდგარი გარემოების დადგომის თარიღიდან:**

- „კლუბის წევრი“ სასარგებლოდ გაფორმებული „ხელშეკრულების“ „დანართში ან/და დამატებით შეთანხმებაში მითითებული თარიღი;
- „კლუბის წევრის“ მიერ „მომსახურებით“ ან „დამატებითი მომსახურებით“ სარგებლობის დაწყების თარიღი, რომელიც ასახულია „შემსრულებლის“ პროგრამაში;
- „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ დადებული „ხელშეკრულების“ დანართის გაფორმებიდან 61-ე დღეს.

თარიღი, ხელმოწერა:

4.3. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების“ დანართის გაფორმებისას „კლუბს“ ჯერ არ დაუწყია მუშაობა და „მომსახურების“ გაწევა (გაყიდვის წინა პერიოდი), „კლუბის“ წევრისთვის „მომსახურების“ გაწევის „პერიოდის“ დასაწყისი ათვლება „კლუბის“ მიერ მუშაობის დაწყებიდან, „ხელშეკრულების მფლობელის“ მიერ საკუთარი გადახდის ვალდებულების „ხელშეკრულებით“, მისი დანართით ან დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული წესით შესრულების წინაპირობით.

4.4. „მომსახურების“ საფასურის დაფარვა ხდება შემდეგი გრაფიკით:

4.4.1. „ხელშეკრულების“ დანართის ან/და დამატებითი შეთანხმების დადების დღეს „ხელშეკრულების მფლობელი“ ვალდებულია უზრუნველყოს „შემსრულებლის“ მიმართ საფასურის პირველი ნაწილის დაფარვა, „ხელშეკრულების“ დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული ოდენობით.

4.4.2. ყოველი შემდგომი გადახდის ოდენობა განისაზღვრება „ხელშეკრულების“ დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით და შეტანილი უნდა იქნას „შემსრულებლის“ ანგარიშზე „ხელშეკრულების მფლობელის“/“კლუბის წევრის“/გადამხდელის ანგარიშიდან (შემდგომში „ანგარიში“) თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრის გზით ან გადახდა ხორციელდება ნებისმიერი სხვა გზით.

4.4.3. თუ „ხელშეკრულებით“, „ხელშეკრულების“ დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით“ სხვა რამ არ არის დადგენილი, „შემსრულებლის“ მიმართ ნებისმიერი საფასურის დაფარვა, გარდა პირველი შენატანისა, ხდება საფასურის განხორციელების თვის/პერიოდის წინა კალენდარული თვის ბოლო საბანკო დღის წინა დღეს.

4.4.4. იმ შემთხვევაში, როდესაც „ხელშეკრულების“ დანართი ან/და დამატებითი შეთანხმება, რომელიც ადგენს განვადების პირობებს, იდება თვის ბოლო 5 საბანკო დღის განმავლობაში, ან უფრო გვიან „ხელშეკრულების“ 4.4.3 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის განხორციელება უნდა დაიწყოს „ხელშეკრულების“ დანართის ან/და დამატებითი შეთანხმების დადების თვის შემდგომი თვიდან.

4.4.5. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „ხელშეკრულების“ დანართით, ფულადი თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრა ხორციელდება „ხელშეკრულების მფლობელის“/“კლუბის წევრის“/გადამხდელის მიერ „შემსრულებლისთვის“ წარდგენილი შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- „ანგარიშის“ რეკვიზიტები, მათ შორის იმ საკრედიტო დაწესებულების დასახელება, რომელშიც გახსნილია ანგარიში;
- „ანგარიშიდან“ „შემსრულებლის“ სასარგებლოდ თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრის შესახებ განცხადება.

4.4.6. 4.4.5-ე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები „შემსრულებელს“ უნდა წარედგინოს არაუგვიანეს ფულადი სახსრების ჩამოჭრის თვის ბოლო საბანკო დღის წინა დღემდე 5 (ხუთი) დღით ადრე.

4.4.7. „ანგარიშის“ რეკვიზიტების, აგრეთვე „ხელშეკრულების მფლობელის“/“კლუბის წევრის“/გადამხდელის პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრი“/გადამხდელი ვალდებულია 4.4.6-ე პუნქტით დადგენილ ვადაში წარუდგინოს 4.4.5-ე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები აქტუალური მონაცემების შესაბამისად.

4.5. „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრი“/გადამხდელი თანახმაა, რომ „ხელშეკრულების“, მისი დანართის ან/და დამატებითი შეთანხმების საფუძველზე უაქცეპტო წესით „ანგარიშიდან“ ფულადი თანხის ჩამოჭრას ახორციელებს „შემსრულებელი“ ან/და „შემსრულებლის“ მიერ არჩეული საკრედიტო ან/და სხვა უფლებამოსილი დაწესებულება. აღნიშნული პირობის შესასრულებლად, „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრი“, „ხელშეკრულების“ დანართის ან/და დამატებითი შეთანხმების დადებისას იღებს გადაწყვეტილებას და თანხმობას აცხადებს პერსონალური მონაცემების „შემსრულებლის“ მიერ არჩეული საკრედიტო ორგანიზაციისთვის გადაცემაზე „ხელშეკრულებით“, მისი დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული საფასურის გადახდის მიზნებისთვის. პერსონალური მონაცემების დამუშავების ვადად განისაზღვრება „შემსრულებლის“ არსებობის პერიოდი.

4.6. „ანგარიშიდან“ უაქცეპტო წესით თანხის ჩამოჭრის უფლების განხორციელების მიზნისთვის, „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრი/გადამხდელი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული კალენდარული თვის ბოლო 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში „ანგარიშზე“ საჭირო ოდენობის თანხის არსებობა განვადების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4.7. „მომსახურების“ საფასურის ვადამდე დაფარვის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების მფლობელის“/“კლუბის წევრის“/გადამხდელის ინფორმაციით „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული წესით თანხის ჩამოჭრისას „ანგარიშზე“ არ იქნება საკმარისი თანხა, „შემსრულებლისთვის“ შესაბამისი საფასურის გადახდა ან/და ვადამდე თანხის შეტანა „ხელშეკრულების მფლობელმა“/“კლუბის წევრმა“/გადამხდელმა უნდა უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით (მაგ სალაროში ფულადი თანხის შეტანით, საბანკო ბარათით გადახდით და ა.შ.) შესაბამისი თანხის დაფარვისთვის დადგენილ ვადაში.

4.8. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში უაქცეპტო წესით „ანგარიშიდან“ თანხის ჩამოჭრა ვერ ხერხდება „შემსრულებლისგან“ ან/და „ხელშეკრულების მფლობელისგან“/“კლუბის წევრისგან“/გადამხდელისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მიზეზით ან, თუ „ხელშეკრულების მფლობელმა“/“კლუბის წევრმა“/გადამხდელმა „შემსრულებლისთვის“ თანხის გადახდა სხვა საშუალებით არ უზრუნველყო „ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, „ხელშეკრულება“, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმებების დადების გარეშე, ავტომატურად ვადაზე ადრე შეწყვეტილად ითვლება „კლუბის წევრისთვის“ „მომსახურების“ მიწოდების ნაწილში იმ თვის ბოლო კალენდარული დღიდან, რომელშიც „შემსრულებელს“ არ მიუღია შესაბამისი საფასური. ამ თარიღამდე „შემსრულებლის“ მიერ მიღებული ყველა ფულადი თანხა „მომსახურების“ ანაზღაურებაში ჩაითვლება.

## 5. „მომსახურების“ კრედიტით გადახდის სპეციალური წესი

თარიღი, ხელმოწერა:



5.1. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“/გადამხდელის დავალებით საკრედიტო ორგანიზაცია უხდის (შემდგომში „ბანკი“) „შემსრულებელს“ „მომსახურების“ საფასურს, „ბანკსა“ და „ხელშეკრულების მფლობელს“/„კლუბის წევრს“/გადამხდელს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე, და „ხელშეკრულების“ პირობები და წინამდებარე სპეციალური წესები განსხვავდება „მხარეები“, „კლუბის წევრი“ და გადამხდელი ხელმძღვანელობენ წინამდებარე სპეციალური წესებით.

5.2. „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“/გადამხდელი უფლებამოსილი არიან „ბანკთან“ ხელშეკრულების დადებისას დააზუსტონ თანხა, რომელიც „ხელშეკრულების მფლობელს“/„კლუბის წევრს“/გადამხდელს მართებს „შემსრულებლის“ მიმართ „ხელშეკრულების“ დანართის ან/და დამატებითი შეთანხმების დადების დღის მდგომარეობით.

5.3. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი „ხელშეკრულების“ წინამდებარე სპეციალური წესებით, „ხელშეკრულების“ დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით, მომსახურების გაწევის „პერიოდი“ თითოეული „კლუბის წევრის“ მიმართ, „ხელშეკრულების მფლობელის“ მიერ საკუთარი გადახდის ვალდებულების „ხელშეკრულებით“, მისი დანართით ან დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად შესრულების წინაპირობით, აითვლება **ქვემოთ მითითებული გარემოებიდან ყველაზე ადრე დამდგარი გარემოების დადგომის თარიღიდან:**

- „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ დადებული „ხელშეკრულების“ დანართში ან/და დამატებითი შეთანხმებაში მითითებული თარიღი;
- „კლუბის წევრის“ მიერ „მომსახურებით“ ან დამატებითი მომსახურებით“ სარგებლობის დაწყების „შემსრულებლის“ პროგრამაში ასახული თარიღი;
- „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ „ხელშეკრულების“ დანართის გაფორმებიდან 61-ე დღე.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებლის“ მიმართ გადახდა არ განხორციელდება სრულად მომსახურების გაწევის პერიოდის, „ხელშეკრულების“ წინამდებარე სპეციალური წესებით, „ხელშეკრულების“ დანართით ან/და დამატებითი შეთანხმების შესაბამისად, დაწყებამდე, „ხელშეკრულების“ შესაბამისი „მომსახურების“ მიწოდება არ მოხდება.

5.5. „ხელშეკრულების“ „მომსახურების“ გაწევის ნაწილის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, „შემსრულებელი“ თანხას აბრუნებს შემდეგი წესის შესაბამისად:

5.5.1. „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“/ გადამხდელის მიმართ ბანკის მიერ „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ დავალიანების არარსებობის თაობაზე გაცემული მოწმობის ან სხვა დოკუმენტის ორიგინალის წარდგენისთანავე;

5.5.2. ბანკის მიმართ, „შემსრულებლისთვის“ „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“/ გადამხდელის მიერ 5.5.1 პუნქტით გათვალისწინებული მოწმობის წარუდგენლობის შემთხვევაში.

5.5.3. „მომსახურების“ საფასურის ნაწილობრივ „საკრედიტო ორგანიზაციის“ და ნაწილობრივ „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ მიერ დაფარვის შემთხვევაში, „ბანკს“ და „ხელშეკრულების მფლობელს“/„კლუბის წევრს“ თანხა უბრუნდება პროპორციულად. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“ წარადგენს 5.5.1 პუნქტით გათვალისწინებულ მოწმობას, თანხა დაუბრუნდება „ხელშეკრულების მფლობელს“/„კლუბის წევრს“.

## **6. პირველი „პერიოდი“ განმავლობაში მომსახურების გაწევის თაობაზე დანართის დადების პირობები**

6.1. „ხელშეკრულება“ დადებულად ითვლება „შემსრულებლის“, „ხელშეკრულების მფლობელის“ და „კლუბის წევრის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ პირველი „პერიოდი“ განმავლობაში მომსახურების გაწევის თაობაზე „ხელშეკრულების“ დანართის დადების მომენტიდან, „ხელშეკრულებით“, მისი დანართით და დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მისი დადების აუცილებლობაზე შეთანხმდებიან „მხარეები“ „ხელშეკრულების“ დანართის დადების დროს.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ პირველ „პერიოდზე“ „ხელშეკრულების“ დანართი იდება და შესაბამისი გადახდა ხორციელდება ვებგვერდზე: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge), არაუგვიანეს „მომსახურების“ „პერიოდი“ დაწყების დღიდან აუცილებელია „ხელშეკრულების მფლობელს“/„კლუბის წევრს“ პირადად კლუბში მოაწეროს ხელი ვებგვერდის მეშვეობით დადებულ „დანართს“, რისთვისაც საჭიროა:

- ✓ დანართით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ადგილას ან „შემსრულებლის“ ნებისმიერ კლუბში მისვლა, რომლების მისამართებიც მითითებულია ვებგვერდზე: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge);
- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და ამობეჭდილი დანართის თან ქონა ან დანართის ნომერის წარდგენა.

6.3. პირველ „პერიოდზე“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შესახებ, ვებგვერდის: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) მეშვეობით, დადებული დანართი „ხელშეკრულების მფლობელის“ მიერ სათანადოდ ხელმოწერილად ითვლება, აგრეთვე, მისი „ხელშეკრულების მფლობელის“ მაგივრად „კლუბის წევრის“ მიერ ხელმოწერის საფუძველზე.

6.4. პირველ „პერიოდზე“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შესახებ დანართი არ ითვლება სათანადოდ დადებულად და არ წარმოშობს „შემსრულებლისთვის“ „ხელშეკრულებით“ მხოკავ ვალდებულებებს შემდეგ შემთხვევებში:

6.4.1. „შემსრულებელს“ „მომსახურების“ სრული საფასური მიუვიდა „ხელშეკრულებით“, მისი დანართებითა და დამატებითი შეთანხმებებით „მომსახურების“ საფასურის სრულად დაფარვისთვის დადგენილი ვადების გადაცილებით.



6.4.2. „შემსრულებელს“ „მომსახურების“ სრული საფასური მიუვცდა დანართით „მომსახურების“ საფასურის სრულად დაფარვისთვის დადგენილი ვადის გადაცილებით, გარდა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.5. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ ვებგვერდის: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) მეშვეობით პირველი „პერიოდის“ შესახებ დანართის დადება და შესაბამისი თანხის გადახდა „ხელშეკრულების მფლობელის“ მიერ სათანადო წესით ხელმოწერილად ჩაითვლება, იმ შემთხვევაში, თუ მას პირადად ხელს მოაწერენ „კლუბის წევრი“ და „შემსრულებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6.6. ვებგვერდის [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) მეშვეობით დადებული „ხელშეკრულების“ დანართის წინამდებარე ნაწილით გათვალისწინებული წესით ხელმოწერის და „ხელშეკრულების მფლობელის“ მიერ „ხელშეკრულებით“ და მისი დანართით გათვალისწინებული წესით საკუთარი ვალდებულებების შესრულების პირობით, მომსახურების პირველი „პერიოდი“ აითვლება **ქვემოთ მითითებული გარემოებიდან ყველაზე ადრე დამდგარი გარემოების დადგომის თარიღიდან:**

➢ „კლუბის წევრის“ სასარგებლოდ დადებული დანართში მითითებული თარიღი;

➢ დანართის ვებგვერდის [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) გაფორმებიდან 61-ე დღეს.

6.7. „კლუბის წევრი“ უფლებამოსილია ისარგებლოს „მომსახურებით“ მხოლოდ დანართის „ხელშეკრულების“ წინამდებარე თავში გათვალისწინებული წესით ხელმოწერის შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ის დაფარავს „მომსახურების“ სრულ საფასურს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული წესით.

6.8. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“ თანხმობას განაცხადებს დადოს „ხელშეკრულება“/დანართი ვებგვერდის [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) მეშვეობით დადებული დანართისგან განსხვავებული პირობებით, მისი ამგვარი პასუხი არ ჩაითვლება აქცეპტად.

6.9. „ხელშეკრულებით“/დანართით გათვალისწინებული ვალდებულებები წყდება, თუ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების გაწევის „პერიოდის“ დაწყებამდე ვებგვერდის [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) მეშვეობით დადებული „ხელშეკრულების“ დანართი არ იქნება ხელმოწერილი.

6.10. თუ დანართი არ იქნება ხელმოწერილი „ხელშეკრულების“ წინამდებარე ნაწილით გათვალისწინებული წესით ან/და „შემსრულებლისთვის“ არ იქნება მიწოდებული „მომსახურების“ სრული საფასური „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადაში, ან საფასური გადახდილი იქნება ვადაგადაცილებით, „შემსრულებლისთვის“ გადახდილი თანხა დაბრუნდება „შემსრულებლისთვის“ გადამხდელის განცხადების ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღეში.

**6.1. კლუბის ძირითადი ბარათის მომსახურების ღირებულებაში შემავალი სტუმრის ვიზიტებისა და მეგობრის ბარათის გაფორმების პირობები**

6.1.1. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია, დაადგინოს იმ მომსახურების ღირებულება, რომელიც მოიცავს კლუბის წევრისა და ხელშეკრულების მფლობელის მიერ მიპატიჟებული პირის (შემდგომში - „სტუმარი“) უფლებას, ისარგებლოს მომსახურებით ხელშეკრულების, ხელშეკრულების წინამდებარე თავისა და დანართის პირობების შესაბამისად.

6.1.2. **სტუმრის ვიზიტი** - ეს პირობითი აღნიშვნა, ხელშეკრულების მთლიანი ტექსტის მიხედვით, არის „სტუმრის“ უფლება, ერთჯერადად ისარგებლოს მომსახურებით მისი გაწევის პერიოდში ანუ ერთი კალენდარული დღეს კლუბის მუშაობის საათების განმავლობაში, რათა დადგინდეს სურს თუ არა „სტუმარს“ მასთან ხანგრძლივი ვადით ხელშეკრულების დადება.

6.1.3. **ბარათი მეგობრისთვის** - პირობითი აღნიშვნა, ხელშეკრულების მთლიანი ტექსტის მიხედვით, არის „სტუმრის“ უფლება, ერთჯერადად ისარგებლოს მომსახურებით მისი გაწევის პერიოდში, რომლის ხანგრძლივობა აჭარბებს ერთ კალენდარულ დღეს, რათა დადგინდეს სურს თუ არა „სტუმარს“ მასთან ხანგრძლივი ვადით ხელშეკრულების დადება.

6.1.4. თუ სტუმრის ვიზიტის გაფორმებამდე 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსრულებელი“ სხვაგვარად არ დაადგენს, „სტუმრისთვის“ შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთი სტუმრის ვიზიტის გაფორმება იმის მიუხედავად, თუ რამდენ პირს სურს „სტუმრის“ კლუბში მოპატიჟება.

6.1.5. თუ მეგობრისთვის ბარათის გაფორმებამდე 365 დღით ადრე „შემსრულებელი“ სხვაგვარად არ დაადგენს, „სტუმრისთვის“ შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთი მეგობრის ბარათის გაფორმება ხელშეკრულების მიხედვით მისი გაფორმების საფუძველისა და „სტუმრის“ კლუბში მოპატიჟების მსურველთა რაოდენობის მიუხედავად.

6.1.6. მეგობრის ბარათის გაფორმება დაუშვებელია შემდეგი პირობებისთვის:

✓ „სტუმარი“, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე იყო კლუბის წევრი და რომლის მომსახურების გაწევის პერიოდი შეადგენდა 270 დღეს ან მეტს და დასრულდა მეგობრის ბარათის გაფორმებამდე 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში;

✓ კლუბის „წევრი“, რომელსაც გაუფორმდა ხელშეკრულება/შეთანხმება/დანართი/ანკეტა/აბონემენტი „შემსრულებლის“ მიერ ფიზკულტურული, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მომსახურების შესახებ.

6.1.7. კლუბის მისამართი, რომელშიც „სტუმარს“ სტუმრის ვიზიტის და/ან მეგობრის ბარათის საფუძველზე შეუძლია ისარგებლოს მომსახურებით, შემოიფარგლება მხოლოდ ერთ-ერთი კლუბით, რომელიც შედის მომსახურების ღირებულებაში კლუბის „წევრის“ სასარგებლოდ გაფორმებული დანართის მიხედვით.

6.1.8. თუ „შემსრულებელი“ სხვაგვარად არ დაადგენს, სტუმრის ვიზიტის/მეგობრის ბარათის გაფორმება არ შეიძლება ერთსა და იმავე კლუბში ერთ ჯერზე მეტად სტუმრის ვიზიტის/მეგობრის ბარათის გაფორმებამდე 365 დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ პირს სურს „სტუმრის“ კლუბში მიპატიჟება.

6.1.9. თუ „შემსრულებელი“ სხვაგვარად არ დაადგენს, სტუმრის ვიზიტის/მეგობრის ბარათის გაფორმება შესაძლებელია იმ დანართით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, რომელშიც ასახულია კლუბის „წევრისა“ და „სტუმრის“ მომსახურების ღირებულება. სტუმრის ვიზიტის/მეგობრის ბარათის გაფორმების აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მათი გაუფორმებლობის შემთხვევაში, სტუმრის ვიზიტით/მეგობრის ბარათით გათვალისწინებული მომსახურება ჩაითვლება „შემსრულებლის“ მიერ სრულად გაწეულად.

6.1.10. „სტუმრისთვის“ მომსახურების გაწევის ხანგრძლივობა, ადილი და სხვ. პირობები ასახულია დანართში, რომელიც უნდა გაუფორმდეს „სტუმარს“ და ხელმოწერილ იქნას დანართში მითითებული ხელშეკრულების „მფლობელის“ მიერ. დანართი ასახავს კლუბის „წევრისა“ და „სტუმრის“ უფლებას, ისარგებლონ მომსახურებით.

6.1.11. თუ „შემსრულებელი“ სხვაგვარად არ დაადგენს, მეგობრის ბარათით მომსახურების გაწევის პერიოდი ავტომატურად აითვლება „სტუმრისთვის“ დანართის გაფორმების თარიღიდან.

6.1.12. სტუმრის ვიზიტით მომსახურების გაწევის პერიოდი აითვლება ქვემოთ მითითებულის შემთხვევაში მათი თანმიმდევრობის მიხედვით:

✓ ხელშეკრულების „მფლობელის“ და/ან „სტუმრის“ მიერ შერჩეული და კლუბის პროგრამაში დაფიქსირებული თარიღი, რომელიც ასევე აისახება პირად კაბინეტში და/ან დანართში და/ან „სტუმართან“ გაფორმებული ხელშეკრულების დამატებით შეთანხმებაში;

✓ „სტუმართან“ კლუბის პროგრამაში ასახული ხელშეკრულების დანართის გაფორმებიდან 30-ე დღე.

6.1.13. თუ „სტუმართან“ გაფორმებული დანართით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პერიოდში მოიშლება ხელშეკრულება დანართის მიხედვით მომსახურების გაწევის თაობაზე, რომელიც მოიცავს კლუბის „წევრისა“ და „სტუმრის“ უფლებას მომსახურებაზე „სტუმრის“ ხსენებული უფლება ავტომატურად წყდება რაიმე დამატებითი დოკუმენტის გაფორმების გარეშე.

6.1.14. ხელშეკრულების „მფლობელი“/ კლუბის „წევრი“ ვალდებულია დამოუკიდებლად წინასწარ გააფრთხილოს „სტუმარი“ ყველა ცვლილების შესახებ.

6.1.15. დაუშვებელია სტუმრის ვიზიტით/მეგობრის ბარათით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პერიოდის გადატანა, შეჩერება ან გაგრძელება.

6.1.16. სტუმრის ვიზიტით/მეგობრის ბარათით გათვალისწინებული „სტუმრის“ მომსახურების სხვა პირთა სასარგებლოდ გადაფორმება დაუშვებელია.

6.1.17. „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულების წინამდებარე თავის დებულებების სტუმრის ვიზიტის/მეგობრის ბარათის დარღვევით გაფორმების შემთხვევების აღმოჩენისას, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად განუცხადოს „სტუმარს“ უარი მომსახურების გაწევაზე დამატებითი დოკუმენტების გაფორმებისა და რაიმე კომპენსაციის გარეშე.

6.1.18. „სტუმართან“ გაფორმებული ხელშეკრულების, დანართის პირობებისა და ხელშეკრულების წინამდებარე თავის პირობების სხვაობის შემთხვევაში „მხარეები“, კლუბის „წევრი“, „სტუმარი“ და გადამხდელი იხელმძღვანელებენ ხელშეკრულების წინამდებარე თავის პირობებით.

## **6.2. სტუმრის ფასიანი ვიზიტების რეზოლიაციისა და გაფორმების პირობები**

6.2.1. ახალ „წევრთა“ მოზიდვის მიზნით, „შემსრულებელს“ „კლუბის“ პრეისკურანტში შეუძლია სტუმართა ერთჯერადი ვიზიტის საფასურის შეტანა (შემდგომში „სტუმრის ფასიანი ვიზიტი“) კლუბის პოტენციური „წევრის“ (შემდგომში „სტუმარი“) მოთხოვნილებების განსაზღვრისა და მასთან ხანგრძლივი მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების დადების მიზნით.

6.2.2. სტუმრის ფასიანი ვიზიტების ამსახველი ხელშეკრულების დანართი ფორმდება ხელშეკრულების „მფლობელთან“ ხელშეკრულების წინამდებარე თავში მითითებული შეზღუდვების გათვალისწინებით.

6.2.3. თუ „შემსრულებელი“ სხვაგვარად არ დაადგენს, სტუმრის ფასიანი ვიზიტის თაობაზე დანართის გაფორმებამდე 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში ერთ სტუმარზე შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ ერთი სტუმრის ფასიანი ვიზიტი.

6.2.4. თუ „შემსრულებელი“ სხვაგვარად არ დაადგენს, დაუშვებელია ერთსა და იმავე კლუბში ერთზე მეტი სტუმრის ფასიანი ვიზიტის გაფორმება შესაბამისი დანართის თარიღამდე 365 დღის განმავლობაში.

6.2.5. სტუმრის ფასიანი ვიზიტით გათვალისწინებული მომსახურების პერიოდი მისი საფასურის იმ თანმიმდევრობით გადახდის პირობით, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, მისი დანართით და/ან ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით, ანგარიშით, ოფერტით აითვლება ქვემოთ მითითებულთა შემთხვევაში მათი თანმიმდევრობის მიხედვით:

✓ ხელშეკრულების მფლობელის და/ან სტუმრის მიერ შერჩეული და კლუბის პროგრამაში აღნიშნული თარიღი, რომელიც აგრეთვე მიეთითება პირად კაბინეტში და/ან დანართში და/ან სტუმართან გაფორმებული ხელშეკრულების დამატებით შეთანხმებაში;

✓ „სტუმართან“ კლუბის პროგრამაში ასახული ხელშეკრულების დანართის გაფორმებიდან 30-ე დღე.

6.2.6. დაუშვებელია სტუმრის ვიზიტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პერიოდის გადატანა, შეჩერება ან გაგრძელება.

6.2.7. „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულების წინამდებარე თავის დებულებების დარღვევით სტუმრის ვიზიტის გაფორმების შემთხვევების აღმოჩენისას, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად განუცხადოს „სტუმრის“ მეგობარს უარი მომსახურების გაწევაზე დამატებითი დოკუმენტების გაფორმებისა და რაიმე კომპენსაციის გარეშე.

6.2.8. ხელშეკრულების, დანართისა და ხელშეკრულების წინამდებარე თავის პირობების სხვაობის შემთხვევაში „მხარეები“, კლუბის „წევრი“, „სტუმარი“ და გადამხდელი იხელმძღვანელებენ ხელშეკრულების წინამდებარე თავის პირობებით.

### **6.3. მარკეტინგული კამპანიის დროს სტუმრის ვიზიტების გაფორმების პირობები**

6.3.1. კლუბის პოტენციური წევრების მოსაზიდად დამოუკიდებლად და/ან მესამე მხარეებთან ერთად, მარკეტინგული კამპანიების მოწყობისას (შემდგომში „კამპანია“) კამპანიაში ჩართულ პირებს („აქციის მონაწილე“ და/ან „სტუმარი“) „შემსრულებელი“ ანიჭებს სტუმრის ვიზიტის გაფორმების უფლებას ხელშეკრულებისა და მისი წინამდებარე თავის პირობების თანახმად.

6.3.2. „შემსრულებელი“ თავად ან მესამე პირებთან ერთად აქციის მონაწილეთათვის გადასაცემად ამზადებს მოსაწვევებს, მოწმობებს და სხვ. და/ან მათ ელექტრონულ ვერსიებს (შემდგომში წინამდებარე თავის მიხედვით „მოსაწვევი“), რომლებშიც აისახება ინფორმაცია კამპანიის, მისი პირობებისა და მასში მონაწილეობის შესახებ.

6.3.3. სტუმრის ვიზიტების ამსახველი ხელშეკრულების დანართი ფორმდება აქციის მონაწილესთან ხელშეკრულების წინამდებარე თავში მითითებული შეზღუდვებისა და კამპანიის პირობების გათვალისწინებით.

6.3.4. მოწვევა სტუმრის ვიზიტის დანართის გასაფორმებლად არ უნდა წარედგინოს „შემსრულებელს“ და არ უნდა იქნას გამოყენებული აქციის მონაწილის მიერ კამპანიის განმავლობაში ან მოწვევაში მითითებული პერიოდის განმავლობაში. კამპანიის ვადის ამოწურვის შემდეგ, რომელიც დგინდება „შემსრულებლის“ მიერ მოწვევის გამოსაყენებლად და/ან მისთვის წარსადგენად, აქციის მონაწილე კარგავს სატუმრის ვიზიტის დანართის გაფორმებისა და მომსახურების მიღების უფლებას.

6.3.5. ერთი მოსაწვევის შეძლება გამოიყენოს აქციის მხოლოდ ერთმა მონაწილემ, რომელიც მომსახურების მისაღებად აირჩევს კამპანიაში მონაწილე მხოლოდ ერთ კლუბს.

6.3.6. მისთვის სტუმრის ვიზიტის გაფორმებამდე 365 დღის განმავლობაში ერთსა და იმავე კლუბში „სტუმარს“ შეუძლია მხოლოდ ერთხელ ისარგებლოს „სტუმრის ვიზიტით“ გათვალისწინებული მომსახურებით მისი მონაწილეობით მიმდინარე კამპანიების რაოდენობის მიუხედავად.

6.3.7. თუ „შემსრულებელი“ სხვაგვარად არ დაადგენს, სტუმრის ვიზიტის გაფორმებამდე 90 (ოთხმეცდაათი) დღის განმავლობაში ერთი კამპანიის ფარგლებში მის მონაწილეს გაუფორმდება სტუმრის მხოლოდ ერთი ვიზიტი ერთ კლუბში მომსახურების მისაღებად.

6.3.8. სტუმრის ვიზიტის გასაფორმებლად აქციის მონაწილემ უნდა წარუდგინოს „შემსრულებელს“ მოწვევა, რომელსაც იგი მიიღებს.

6.3.9. სტუმრის ვიზიტით გათვალისწინებული მომსახურების პერიოდი ავტომატურად აითვლება აქციის მონაწილესთან დანართის გაფორმების თარიღიდან.

6.3.10. დაუშვებელია სტუმრის ვიზიტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პერიოდის გადატანა, შეჩერება ან გაგრძელება.

6.3.11. კლუბის წევრებისთვის გათვალისწინებული მარკეტინგული აქციების დროს „შემსრულებელი“ უფლებამოსილია, მიანიჭოს მათ მათ მიერ მიწვეული პირისთვის „სტუმრის ვიზიტის“ გაფორმების უფლება ხსენებული უფლების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში და ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირობების თანახმად.

6.3.12. „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულების წინამდებარე თავის დებულებების დარღვევით სტუმრის ვიზიტის გაფორმების შემთხვევების აღმოჩენისას, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად განუცხადოს აქციის მონაწილეს/„სტუმარს“ უარი მომსახურების გაწევაზე დამატებითი დოკუმენტების გაფორმებისა და რაიმე კომპენსაციის გარეშე.

6.3.13. სტუმრის ვიზიტში არ შედის ხელშეკრულების დანართში ასახული ჩამონათვალის 3-6 პუნქტებში მითითებული მომსახურება.

6.3.14. ხელშეკრულების, დანართის პირობებისა და ხელშეკრულების წინამდებარე თავის პირობების სხვაობის შემთხვევაში „მხარეები“, კლუბის „წევრი“, „სტუმარი“ და გადამხდელი იხელმძღვანელებენ ხელშეკრულების წინამდებარე თავის პირობებით.

### **7. მომსახურების ახალი „პერიოდების“ შესახებ შეთანხმებების დადების პირობები**

7.1. „ხელშეკრულების მფლობელი“/კლუბის წევრი „ხელშეკრულების“ საფუძველზე უფლებამოსილია გადაიხადოს „კლუბის წევრის“ მიერ „მომსახურებით“ სარგებლობის შესაბამისი შემდეგი პერიოდის საფასური, „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, და უფლებამოსილია „შემსრულებელთან“ შეთანხმების შედეგად შეცვალოს „მომსახურების“ ადგილი ან სხვა პირობები.

7.2. თუ „ხელშეკრულებით“, მისი დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება დადგენილი, ახალი პერიოდების შესაბამისი შეთანხმების დადების ოდენობა შეზღუდული არაა.

7.3. თუ „ხელშეკრულებით“, მისი დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება დადგენილი, ყოველი ახალი „პერიოდი“ ავტომატურად აითვლება წინა „პერიოდის“ დასრულების შემდეგი კალენდარული დღიდან, იმ პირობით, რომ შემდეგი „პერიოდის“ შესაბამისი საფასური „შემსრულებლისთვის“ გადახდილი იქნება სრულად არაუგვიანეს მიმდინარე „პერიოდის“ დასრულების ბოლო დღისა.

7.4. „კლუბის წევრის“ მიერ „მომსახურებით“ სარგებლობის ახალი „პერიოდის“ შესახებ შეთანხმების დადება და შესაბამისი საფასურის გადახდა ხდება „ხელშეკრულების“ საფუძველზე დადებული დანართის შესაბამისად.

### **8. მხარეთა პასუხისმგებლობა**

- 8.1. „ხელშეკრულების მფლობელს“, „კლუბის წევრს“ აკისრიათ მატერიალური პასუხისმგებლობა „შემსრულებლისთვის“ მიყენებული ზიანისთვის. „შემსრულებლისთვის“ „კლუბის წევრის“ მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში, „კლუბის წევრი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ დაზიანებული ან/და დაკარგული ქონების, „შემსრულებლის“ მიერ დადგენილი, ღირებულება.
- „შემსრულებლისთვის“ ზიანის მიყენების შემთხვევაში დგება შესაბამისი აქტი. იმ შემთხვევაში, თუ „კლუბის წევრი“ უარს განაცხადებს აქტის ხელმოწერაზე, „შემსრულებელი“ აქტს ხელს აწერს ცალმხრივად. „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“ ვალდებულია აქტის საფუძველზე აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ მიყენებული ზიანის სრული ოდენობა აქტის შედგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში „შემსრულებელი“ ზიანის ოდენობას უაქცეპტო წესით გაქვითავს „მომსახურების“ ღირებულებიდან, „პერიოდის“ შესაბამისად შემცირების ხარჯზე.
- 8.2. „ხელშეკრულების მფლობელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა „კლუბის წევრის“, აგრეთვე „ხელშეკრულების მფლობელის“ ან/და „კლუბის წევრის“ მიერ მოწვეული მესამე პირების მიერ „შემსრულებლისთვის“ ან/და მისი ქონებისთვის მიყენებულ ზიანზე.
- 8.3. „კლუბის ბარათის“, საიდენტიფიკაციო საშუალებების, კარადის ან სეიფის გასაღების ან/და „შემსრულებლის“ კუთვნილი სხვა ნივთების დაკარგვისას ან „მომსახურებით“ სარგებლობის უფლების „ხელშეკრულების მფლობელისგან“/„კლუბის წევრისგან“ სხვა პირისთვის გადაცემის შემთხვევაში, „შემსრულებელი“ იღებს „ფასების ჩამონათვალში“ მითითებულ შესაბამის საფასურს.
- 8.4. „შემსრულებელი“ გათავისუფლებულია შემდეგი სახის პასუხისმგებლობისგან:
- 8.4.1. „კლუბის წევრის“ სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანი, თუ აღნიშნული წარმოადგენდა იმის შედეგს, რომ „ხელშეკრულების მფლობელმა“/„კლუბის წევრმა“ „შემსრულებელს“ არასწორად ან/და არადროულად წარუდგინა ინფორმაცია „კლუბის“ წევრის ჯანმრთელობის შესახებ; ან/და „კლუბის წევრის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების, „კლუბის წესების“ ან/და ფიზიკულტურული ან/და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მარეგულირებელი დებულებების (რეგლამენტების), აგრეთვე „მომსახურებით“/„დამატებითი მომსახურებით“ სარგებლობისას უსაფრთხოების წესების, „შემსრულებლის“ ინვენტარით, მოწყობილობებით და ა.შ. სარგებლობის ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების, გამაფრთხილებელი, შემზღუდავი ან/და ამკრძალავი „კლუბში“ ან/და „მომსახურების“ გაწევის ადგილას განთავსებული ნიშნების ან/და წარწერების შეუსრულებლობის ან/და არასათანადო შესრულების შემთხვევაში; „შემსრულებელი“ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულია აგრეთვე, თუ შედეგი „კლუბის წევრის“ გაუფრთხილებელმა ქმედებამ გამოიწვია; შემსრულებელი პასუხს არ აგებს „კლუბის წევრის“ ჯანმრთელობისთვის ან/და ქონებისთვის „კლუბის წევრის“ ქმედებით ან/და უმოქმედობით, აგრეთვე თავისით (დამოუკიდებლად) ვარჯიშის დროს ან მესამე პირების ქმედების შედეგად მიერ მიყენებულ ზიანზე.
- 8.4.2. პირადი ნივთების დაზიანების ან დაკარგვისთვის, მათ შორის, იმ პირადი ნივთების, რომელიც დატოვებული იყო გასახდელში ან „კლუბის“ სხვა შენობაში;
- 8.4.3. შემსრულებელი აგრეთვე გათავისუფლებულია ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურებისგან, თუ ამგვარი ზიანი გამოწვეულია „კლუბის წევრის“ ან/და მესამე პირების ქმედების ან/და უმოქმედობის, ასევე მწვავე დაავადების, ტრავმის გამწვავების ან ქრონიკული დაავადების შედეგად;
- 8.4.4. „შემსრულებელს“ პასუხისმგებლობა არ დაეკისრება უფლებამოსილი ორგანიზაციების მიერ სეზონური პროფილაქტიკური, სარემონტო-სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოების შედეგად წარმოშობილი ტექნიკური შეფერხებისთვის, აგრეთვე „შემსრულებლის“ ბრალით წარმოშობილი ავარიული ვითარებისთვის;
- 8.4.5. კლუბის „წესებით“ ან/და მოქმედი კანონებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
- 8.5. მომსახურების „პერიოდის“ დასრულება არ ათავისუფლებს „მხარეებს“/„კლუბის წევრებს“ „ხელშეკრულების“, მისი დანართების ან/და დამატებითი შეთანხმებების, აგრეთვე „კლუბის წესების“ დარღვევის პასუხისმგებლობისაგან.
- 8.6. „შემსრულებელი“ ინარჩუნებს უფლებამოსილებას „კლუბის წევრს“ დააკისროს გადასახადი ამ უკანასკნელის მიერ „კლუბის“ შენობის იმ ნაწილში ყოფნისას, რომელის არ არის გათვალისწინებული მისთვის გასაწევი მომსახურების შესაბამისი საშვით, აგრეთვე „კლუბში“ სამუშაო საათების შემდგომ, ან/და საშვით დადგენილი დღეების/საათების შემდგომ ყოფნისთვის, ხოლო „კლუბის წევრი“, თავის მხრივ, ვალდებულია „შემსრულებლის“ მოთხოვნის შედეგად დაფაროს ჯარიმა თითოეული დარღვევისთვის 100 ლარის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ „კლუბის წევრი“ სარგებლობს საქართველოში არსებული «World Class» სასაქონლო ნიშნით მოქმედი „კლუბის“ მომსახურებით. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ „კლუბის წევრი“ სარგებლობს «World Class Lite» სასაქონლო ნიშნით მოქმედი „კლუბის“ მომსახურებით - 60 ლარი.
- 8.7. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ „კლუბის წევრისთვის“ მომსახურების გაწევის ნაწილში ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ შეწყვეტა არ მომხდარა „შემსრულებლის“ ინიციატივით, „შემსრულებელი“ უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“ ვალდებულია გადაუხადოს „შემსრულებელს“ დამატებითი საფასური „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ და სხვა პირების მიერ „შემსრულებლის“ მიმართ „ხელშეკრულების“ შესაბამისად არსებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრისთვის დანართის შესაბამისად ფაქტობრივად კლიენტისთვის დასაბრუნებელი თანხის 10%-ის ოდენობის თანხა. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია, ნებისმიერი დამატებითი შეთანხმების დადების გარეშე, აღნიშნული თანხა ჩამოაჭრას ნებისმიერ



იმ თანხას, რომელიც „ხელშეკრულების“ შესაბამისად „შემსრულებელმა“ უნდა დაუბრუნოს გადამხდელს ან/და ნებისმიერ სხვა პირს.

### 9. ფულადი თანხის დაბრუნების წესები

9.1. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით ან/და „ხელშეკრულებით“, „ხელშეკრულების“ „კლუბის წევრისთვის“ მომსახურების გაწევის ნაწილში ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ფულადი თანხის 70%(სამოცდაათი), რომლის შესაბამისი მომსახურების მიწოდება არ მომხდარა, უნდა დაუბრუნდეს „კლუბის წევრს“/„ხელშეკრულების მფლობელს“ „ხელშეკრულების“ აღნიშნული შეწყვეტის თარიღიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, გადამხდელი პირების მიერ შემოტანილი თანხების პროპორციულად. თანხა, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას, გამოითვლება როგორც სხვაობა „შემსრულებლის მიერ“ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღისთვის მიღებულ თანხასა და მომსახურების „პერიოდის“ დაწყებიდან- დასრულებამდე „მომსახურების“ საფასურს, გაწეული „მომსახურების“, „დამატებითი მომსახურების“ საფასურსა და „შემსრულებლის“ მიმართ „ხელშეკრულების“, მისი დანართის ან/და დამატებითი შეთანხმების, „კლუბის წესების“ შესაბამისად ასანაზღაურებელი სხვა თანხას, აგრეთვე ფაქტიურად გამოყენებულ „გაყინვის“ დღეებს შორის.

9.2. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი მოქმედი კანონმდებლობით ან/და „ხელშეკრულებით“, გამოუყენებელი „დამატებითი მომსახურების“ შესაბამისი ფულადი თანხა ან „შემსრულებლისთვის“ ავანსის სახით გადახდილი თანხები ფულადი თანხის გადამხდელს დაბრუნდება „შემსრულებლის“ მიერ გადამხდელის შესაბამისი განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი არ წარუდგენს „შემსრულებელს“ გამოუყენებელი „მომსახურების“/„დამატებითი მომსახურების“ შესაბამისი თანხის უკან დასაბრუნებლად საჭირო ყველა დოკუმენტაციას, მოქმედი კანონმდებლობით ან/და „ხელშეკრულებით“ დაბრუნებისთვის განსაზღვრული ვადა აითვლება „შემსრულებლისთვის“ ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის თარიღიდან.

9.4. თუ მოქმედი კანონმდებლობით ან/და „ხელშეკრულებით“ სხვა რამ არ არის დადგენილი, გამოუყენებელი „მომსახურების“/„დამატებითი მომსახურების“ შესაბამისი თანხის ან/და გამოუყენებელი ავანსის დაბრუნება ხორციელდება შემდეგი წესების შესაბამისად:

- ✓ ნაღდი ანგარიშსწორებისას - თანხა ნაღდი ანგარიშსწორებით ბრუნდება „კლუბის“ სალაროში;
- ✓ საბანკო ბარათით ანგარიშსწორებისას - თანხა ბრუნდება იმ საკრედიტო ორგანიზაციის ანგარიშზე, რომელსაც ეკუთვნის ბარათი, რომლითაც განხორციელდა გადახდა;
- ✓ იმ საბანკო ბარათით ანგარიშსწორების შემთხვევაში, რომლის წარდგენაც თანხის დაბრუნების მომენტისთვის შეუძლებელია - თანხა ირიცხება საკრედიტო ორგანიზაციაში გახსნილ გადამხდელის ანგარიშზე;
- ✓ უნაღდო ანგარიშსწორებისას - თანხა ბრუნდება საკრედიტო ორგანიზაციაში გახსნილ გადამხდელის ანგარიშზე ან გადამხდელის სხვა ანგარიშზე;
- ✓ შესაბამისი კატეგორიის ბარათის/სერტიფიკატის მეშვეობით ანგარიშსწორებისას (ავანსი) - თანხის დაბრუნება ხორციელდება იმავე ფორმით, რომლითაც განხორციელდა გადახდა.

9.5. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებელს“ თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ გადაუხადა „ბანკმა“, გადამხდელსა და „ბანკს“ შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, „შემსრულებელი“ „კლუბის წევრს“ გამოუყენებელი მომსახურების შესაბამის თანხას უბრუნებს შემდეგი წესების საფუძველზე:

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ „ბანკმა“ გადაიხადა თანხის ნაწილი და წარმოდგენილია გადამხდელის მიერ „ბანკის“ მიმართ საკუთარი ვალდებულების შესრულების მტკიცებულება, თანხა უბრუნდება გადამხდელს იმავე ფორმით, რომლითაც გადამხდელმა გადაიხადა თანხის მეორე (არა-საკრედიტო) ნაწილი;
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ „ბანკმა“ გადაიხადა სრული თანხა და წარმოდგენილია გადამხდელის მიერ „ბანკის“ მიმართ საკუთარი ვალდებულების შესრულების „ბანკის“ მიერ გაცემული წერილობითი მტკიცებულება, თანხა ბრუნდება გადამხდელის ანგარიშზე „ბანკში“ ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში.

9.6. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში, თანხის „კლუბის“ სალაროდან დასაბრუნებლად საჭიროა „შემსრულებლისთვის“ შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

- ✓ თანხის დაბრუნების თაობაზე განცხადების ორიგინალი;
- ✓ ხელშეკრულების ასლი, თანდართული სალარო ქვითრებით;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- ✓ საქართველოს მოქალაქეებისთვის შემდეგი დოკუმენტებიდან ერთერთი:
  - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ID;
  - საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ✓ უცხოელებისთვის - ერთერთი შემდეგი დოკუმენტებიდან:
  - უცხოელის საქართველოში მოქმედი პირადობის მოწმობა;
  - საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის პირადობის მოწმობა;
  - იმ სხვადასხვა კატეგორიის პირების პირადობის მოწმობა, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებსაც განცხადება აქვთ ჩაბარებული საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე ან საქართველოს მოქალაქედ ცნობაზე;
  - ლტოლვილის მოწმობა;
  - საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვის მოწმობა;
  - საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი თავშესაფრის მინიჭების მოწმობა.

✓ თანხის მინდობილობის საფუძველზე მიღებისას: ფულის გადამხდელისგან თანხის მიღების თაობაზე გაცემული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის ორიგინალი (რომელშიც მითითებული უნდა იყოს მარწმუნებლის და რწმუნებულების პასპორტის ნომრები, მისამართები და ტელეფონები). მინდობილობას თან უნდა დაერთოს მარწმუნებლისა და რწმუნებულის პასპორტების ასლები.

9.7. თანხის საბანკო ანგარიშით გადახდის შემთხვევაში, დამატებით აუცილებელია შემდეგი სახის დოკუმენტების წარდგენა „შემსრულებლისთვის“:

✓ სლიპების ასლები;

✓ საბანკო ბარათი, რომლიდანაც განხორციელდა „მომსახურების“ საფასურის გადახდა („შემსრულებლის“ მიერ თანხის დაბრუნების მიზნებისთვის ბარათის ტერმინალში გასატარებლად);

✓ თუ წარდგენილია საბანკო ბარათი, რომლის ნომერიც არ ემთხვევა საბანკო ბარათს, რომლიდანაც განხორციელდა გადახდა სლიპის შესაბამისად, თანხა ბრუნდება წარმოდგენილ საბანკო ბარათზე, თუ ამ ბარათის შესაბამისი ანგარიში მიზნულია საკრედიტო დაწესებულების იმავე ანგარიშთან, რომელზეც მიზნული იყო გადახდისას გამოყენებული ბარათი;

✓ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია იმ ბარათის წარდგენა, რომლითაც განხორციელდა გადახდა ან თუ წარდგენილი ბარათის ნომრები არ ემთხვევა იმ ბარათის ნომრებს, რომლითაც სლიპის შესაბამისად განხორციელდა გადახდა და ანგარიში, რომელზეც მიზნულია აღნიშნული ბარათი არ ემთხვევა იმ ანგარიშს, რომელთანაც მიზნული იყო ბარათი, რომლითაც განხორციელდა გადახდა, თანხა ბრუნდება უნაღდო წესით საკრედიტო დაწესებულების ანგარიშზე, შემდგომი ინფორმაციის საფუძველზე;

✓ ანგარიშის მფლობელის სახელი, გვარი, მამის სახელი;

✓ ანგარიშის ნომერი;

✓ საკრედიტო დაწესებულების მონაცემები, სრული სახელწოდება, საკორესპონდენტო ანგარიში, საბანკო საიდენტიფიკაციო კოდი, გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი.

9.8. იმ პირების მაგივრად, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი, თანხა შესაძლებელია დაიბრუნოს ერთერთმა მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა შემდეგი დამატებითი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე:

✓ მშობლებისთვის - დაბადების მოწმობა ან/და მოქალაქის სხვა დოკუმენტი, რომელშიც წერია ბავშვი;

✓ ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის (შვილად აყვანის, მეურვეობის-მზრუნველობის) დამადასტურებელი დოკუმენტი;

✓ მინდობილობის საფუძველზე თანხის დაბრუნებისას: ერთერთი მშობლის ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენლის (შემდგომში - „მარწმუნებელი“) მიერ გაცემული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის ორიგინალი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მარწმუნებლისა და რწმუნებულის პასპორტის მონაცემები, მისამართები და ტელეფონის ნომრები. მინდობილობას თან უნდა ერთვოდეს მარწმუნებლისა და რწმუნებულის პასპორტების ასლები.

9.9. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფულადი თანხის გადამხდელად ითვლებიან შემდეგი პირები:

✓ „ხელშეკრულების მფლობელი“ - იმ შემთხვევაში, თუ თანხა გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით;

✓ „კლუბის წევრი“ - იმ შემთხვევაში თუ თანხა გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით „დამატებითი მომსახურებისთვის“ ან „დამატებითი მომსახურების“ ავანსის შესავსებად;

✓ პირი, რომლის პირადი მონაცემები მითითებულია გადახდის ოპერაციისთვის გამოყენებულ საბანკო ბარათზე;

✓ პირი, რომლის ანგარიშიდან „შემსრულებელს“ ჩაერიცხა თანხა უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 10. გარდამავალი დებულებები

10.1. „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“ პასუხისმგებელია ხელშეკრულებით, დანართებით ან/და დამატებითი შეთანხმებებით განსაზღვრული პერსონალური მონაცემების სანდოობაზე და მათი ცვლილებების შემთხვევაში ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ „შემსრულებელს“.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ „მომსახურების“ გაწევის „პერიოდის“ ამოწურვამდე „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“ არ განაცხადებს უარს „ხელშეკრულების“ შესრულებაზე, „მომსახურება“ შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი წესით და განსაზღვრული მოცულობით, „კლუბში“ ვიზიტის ან/და „მომსახურებით“ სარგებლობის ფაქტობრივი მდგომარეობის მიუხედავად.

10.3. „ხელშეკრულების“ მფლობელი, რომელსაც სრულად აქვს გადახდილი მომსახურების საფასური, უფლებამოსილია „კლუბის წევრის“ თანხმობის გარეშე მოახდინოს ნებისმიერი მესამე პირისათვის „მომსახურებით“ სარგებლობის უფლების გადაცემა. კლუბის წევრი, რომელსაც სრულად გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, უფლებამოსილია „ხელშეკრულების მფლობელის“ თანხმობის გარეშე მოახდინოს ნებისმიერი მესამე პირისათვის „მომსახურებით“ სარგებლობის უფლების გადაცემა. უფლების გადაცემა ხდება დამატებითი შეთანხმების გაფორმების საფუძველზე და იმ შემთხვევაში, თუკი პირი, რომელსაც უნდა გადაეცეს დასახელებული უფლება, აკმაყოფილებს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ისევე როგორც შესაბამის ფასის დაფარვის ვალდებულებას, რომელიც დამოკიდებულია „კლუბის“ დაშვების სახეობაზე.

10.4. „ხელშეკრულების მფლობელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად, „კლუბის წევრის“ თანხმობის გარეშე, დროზე ადრე გაწყვიტოს „ხელშეკრულება“ „კლუბის წევრისათვის“ იმ „მომსახურების“ მიწოდების ნაწილში, რომლის საფასურიც მთლიანად გადახდილია „ხელშეკრულების მფლობელის“ მიერ. „კლუბის წევრისათვის“ „მომსახურების“ გაწევის „პერიოდის“ ბოლო დღედ, ასეთ შემთხვევებში, მიიჩნევა „შემსრულებლის“ მიერ „ხელშეკრულების მფლობელის“ წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღი, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შეტყობინებით უფრო

დიდი ვადა არ არის გათვალისწინებული. დამატებითი შეთანხმების გაფორმება, ასეთ შემთხვევებში, საჭირო არ არის.

10.5. „კლუბის წევრი“, რომელსაც მიღწეული აქვს 18 წლისთვის და რომელსაც თავად, დამოუკიდებლად აქვს გადახდილი „მომსახურების“ საფასური, უფლებამოსილია, „ხელშეკრულების მფლობელის“ თანხმობის გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს „მომსახურების“ მიწოდების „პერიოდი“. „მომსახურების“ გაწევის „პერიოდის“ ბოლო დღედ, ასეთ შემთხვევებში, მიიჩნევა „შემსრულებლის“ მიერ „კლუბის წევრის“ წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღი, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შეტყობინებით უფრო დიდი ვადა არ არის გათვალისწინებული. დამატებითი შეთანხმების გაფორმება, ასეთ შემთხვევებში, საჭირო არ არის.

10.6. „ხელშეკრულება“ ავტომატურად ითვლება შეწყვეტილად იმ შემთხვევაში, თუკი „ხელშეკრულების“ დანართის „მხარეთა“ მიერ გაფორმების და ხელმოწერის შემდეგ 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსრულებლისათვის“ არ იქნება მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულების 100 (ასი) პროცენტი, ხოლო განვადებით გადახდის შემთხვევაში, „შემსრულებლის“ მიერ პირველადი გადახდის „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მოცულობითა და განსაზღვრულ ვადებში მიუღებლობის შემთხვევაში.

10.7. იმ შემთხვევაში, თუკი დანართის, დამატებითი შეთანხმების გაფორმების ან/და გადახდის ვადის გაგრძელების პერიოდში „შემსრულებელი“ დაამტკიცებს „ხელშეკრულების“ ახალ რედაქციას, „მხარეებმა“ და „კლუბის წევრმა“ უნდა იხელმძღვანელონ „ხელშეკრულების“ დანართების იმ რედაქციით, რომლებიც დაამტკიცებული იქნება გადახდის დღეს, ისევე როგორც „ხელშეკრულების“ ყველა ცვლილებით ან/და კლუბის წესებით, რომლებიც შესრულებულ იქნება „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული წესით.

10.8. „შემსრულებლის“ ვალდებულებები „კლუბის წევრისათვის“ მომსახურების გაწევის კუთხით წყდება „კლუბის წევრის“ მიერ „მომსახურებით“ სარგებლობის უფლებამოსილების „პერიოდის“ ბოლო დღეს, ისევე როგორც „მომსახურების“ „კლუბის წევრის“ მიერ სხვაზე გადაფორმებისას ან ხელშეკრულებით, „კლუბის წესებით“ განსაზღვრული საფუძვლით, „მომსახურების“ გაწევის „პერიოდის“ დროზე ადრე შეწყვეტისას. „ხელშეკრულება“ წყვეტს მოქმედებას „კლუბის წევრისათვის“ „მომსახურების“ გაწევის კუთხით „მომსახურების“ გაწევის „პერიოდის“ დასრულების დღეს, რა დროსაც „კლუბის წევრი“ უფლებამოსილია ისარგებლოს „მომსახურებით“, ისევე როგორც „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

10.9. „მხარეები“ და „კლუბის წევრი“ თანხმდებიან, რომ თუკი რაიმე საკითხი არ არის გათვალისწინებული წინამდებარე „ხელშეკრულებით“, დოკუმენტები, რომლებიც გაფორმებულია „ხელშეკრულების“ საფუძველზე, ჩაითვლება შესაბამისი წესით შესრულებულად, თუკი მათ ხელს აწერს შემსრულებლის“, „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ უფლებამოსილი პირები და იმ შემთხვევაში, თუკი ისინი გაფორმებულია „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ მიერ ელექტრონული ფორმით, საიტზე: [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge)

10.10. მომსახურების უფლებების გადასვლა სხვა პირზე ხორციელდება „შემსრულებლის“, „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ და იმ პირის, რომელსაც გადაეცემა დასახელებული უფლებები, უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ „ხელშეკრულების“ დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, თუკი დამატებითი შეთანხმების გაფორმება და გადაფორმების საფასურის გადახდა ხორციელდება საიტის - [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge), მეშვეობით, მაშინ არაუგვიანეს „კლუბის“ მომსახურებით სარგებლობის დაწყების თარიღისა, ახალი „კლუბის წევრი“ ვალდებულია ხელი მოაწეროს დამატებით შეთანხმებას, რომლის გაფორმებაც ხდება საიტის - [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge)-ის მეშვეობით, რისთვისაც აუცილებელია წინამდებარე „ხელშეკრულების“ 6.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება.

10.11. „მხარეები“ და „კლუბის წევრი“ თანხმდებიან, რომ ცვლილებები, რომლის განხორციელებაზეც ცალმხრივად უფლებამოსილია „შემსრულებელი“ „ხელშეკრულებისა“ და „კლუბის წესების“ საფუძველზე, ისევე როგორც ნებისმიერი სახის შეტყობინება ცვლილებაზე ან/და ნებისმიერი სხვა სახის შეტყობინება „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ მისამართით გაკეთებული, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ კლუბის მუშაობის დაწყების თარიღის შესახებ, ჩაითვლება შესაბამისი წესით შესრულებულად, გაფორმებულად და „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრისათვის“ მიწოდებულად და ძალაში შედის მათი განთავსების/გაგზავნის/მიტანის მომენტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი თავად შეტყობინებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული:

- „კლუბში“ „განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე ან/და სხვა საინფორმაციო ადგილას;
  - ან/და სატზე [www.worldclass.ge](http://www.worldclass.ge) გამოქვეყნების თარიღიდან;
  - ან/და დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით განსაზღვრულ მისამართზე, ისევე როგორც დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით განსაზღვრულ „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის მომენტიდან, ან შემსრულებლისათვის სხვაგვარად წარდგენის მომენტიდან;
  - ან/და ხმოვანი ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების „ხელშეკრულების“ დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით განსაზღვრულ ან/და შემსრულებლისათვის სხვაგვარი საშუალებით მიწოდებულ „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ ნომერზე გაგზავნის მომენტიდან;
  - ან/და ინფორმაციის შემსრულებლის მიერ პირად კაბინეტში განთავსების მომენტიდან;
  - ან/და „ხელშეკრულების მფლობელის“/„კლუბის წევრის“ სხვაგვარი საშუალებით გაფრთხილების მომენტიდან;
- ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებების გაფორმება არ წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნას.

10.12. იმ შემთხვევაში, თუკი „ხელშეკრულების მფლობელი“/„კლუბის წევრი“ შემსრულებლის მიერ შეტყობინების გაგზავნის თარიღამდე არ შეატყობინებს „შემსრულებელს“ მიმოწერისათვის განსაზღვრული მისამართის ან/და ტელეფონის ნომრის ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართის, რომელზეც შემსრულებელმა გააგზავნა თარიღი, ხელმოწერა:

შეტყობინება, ცვლილების შესახებ, მაშინ „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრი“ ითვლება შესაბამისი წესით გაფრთხილებულად შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის მომენტიდან, დასახელებული წესი აგრეთვე ვრცელდება კლუბის მიერ მუშაობის დაწყების დროზე.

10.13. თუკი „ხელშეკრულებით“ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების მხარეები და კლუბის წევრი თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრის“ მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, მათ შორის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებები და სხვა დოკუმენტები, ითვლება შესაბამისი წესით შესრულებულად და მიწოდებულად „შემსრულებლისათვის“, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი:

- შესრულებულია წერილობითი ფორმით;
- შეიცავენ „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრის“ მომდევნო პერსონალურ მონაცემებს: გვარს, სახელს, მამის სახელს, მისამართს, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის რეკვიზიტებს, დასახელებული დოკუმენტის გაცემის თარიღს და გამცემ ორგანოს;
- შეიცავს პერსონალური მონაცემების სუბიექტის ხელმოწერას;
- მიღებულია „შემსრულებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ან/და მიტანილია შემსრულებლის იურიდიულ მისამართზე, ან ნებისმიერ მისამართზე, რომელზეც შემსრულებელი გაწევს მომსახურებას;
- ან/და გაფორმებულია და მიწოდებული პირადი კაბინეტის საშუალებით.

10.14. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია „ხელშეკრულების მფლობელს“/“კლუბის წევრს“ უარი უთხრას საკუთარი სურვილების/მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც მას მიეწოდება განცხადების ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტის საშუალებით, თუკი ისინი გაფორმებულია ან/და მიწოდებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევით.

10.15. მხარეები თანხმდებიან, რომ კლუბის წევრი, რომელსაც მიღწეული აქვს 18 წლისთვის, უფლებამოსილია ხელი მოაწეროს „ხელშეკრულების მფლობელი“ სახელით „ხელშეკრულების“ დამატებით შეთანხმებას. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც „ხელშეკრულების მფლობელი“ მთლიანად ან ნაწილობრივ იხდის „მომსახურების“ საფასურს, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ „ხელშეკრულების მფლობელია“ უფლებამოსილი ხელი მოაწეროს დამატებით შეთანხმებებს „კლუბის წევრის“ მიმართ „მომსახურების“ გაწევის ნაწილში „ხელშეკრულების“ დროზე ადრე შეწყვეტის თაობაზე ან პირის ცვლილების შესახებ შეთანხმებას, რომლებიც უფლებამოსილებას მიანიჭებს ამ უკანასკნელს ისარგებლოს „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურებით“.

10.16. ნებისმიერი უთანხმოება და დავა, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესრულებასთან, გაფორმებასთან და შეწყვეტასთან, მხარეებს შორის, ისევე როგორც კლუბის წევრს შორის უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

10.17. ნებისმიერი საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე „ხელშეკრულებით“, მისი დანართით ან/და დამატებითი შეთანხმებით, ისევე როგორც „კლუბის წესებით“, „ხელშეკრულების მფლობელმა“, „კლუბის წევრმა“ და „შემსრულებელმა“ უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10.18. „მხარეებს“, „კლუბის წევრს“ და მესამე პირებს, დანართის იდენტიფიკაციის მიზნით შეუძლიათ გამოიყენონ დანართის ნომერი, როგორც „საკლუბო ბარათის ნომერი“ ან „კლუბის ბარათი“, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ: „პირად კაბინეტში“ შესასვლელად, დამატებითი შეთანხმებების დადებისას, ისევე როგორც განცხადებების, შეტყობინებების ან სხვა დოკუმენტების წარსადგენად და სხვა შემთხვევებში.

10.19. „ხელშეკრულება“ წარმოადგენს საჯარო ოფერტს და ითვლება აქცეპტირებულად „ხელშეკრულების მფლობელი“/“კლუბის წევრის“ მიერ „ხელშეკრულების“ დანართის ან/და დამატებითი შეთანხმების, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს, ხელმოწერის მომენტიდან.

10.20. იმ შემთხვევაში, თუკი „ხელშეკრულების მფლობელი“ აფორმებს „ხელშეკრულებას“, მის დანართს ან/და დამატებით შეთანხმებას მესამე პირების (კლუბის წევრების) სასარგებლოდ ან/და „მომსახურების“ საფასური შეიცავს სამედიცინო მომსახურების ღირებულებასაც, ასეთ შემთხვევაში კლუბის წევრს გადაეცემა „ხელშეკრულების“ ან/და მისი დამატებითი შეთანხმების ასლი.

|                                                      |                                                                                                                |
|------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ხელშეკრულების მფლობელი:</b><br>-----<br><br>***** | <b>შემსრულებლის სახელით:</b><br>-----<br><b>მარიანა ტოკვი</b><br><br><b>გაყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი</b> |
|------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|